ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 30 ივლისი, 2020 №161 (8425) ფასი: 60 თეთრი

გიორგი რურუა: „ჩემი დამცირება მხოლოდ მე შემიძლია“

მის განაჩენს სასამართლო დღეს გამოიტანს

გვ.5

ნაციონალების სიის მეორე ნომერი პაატა ბურჭულაძე იქნება?!

გვ.2

სიას სათავეში გრიგოლ ვაშაძე ჩაუდგება

„ოპოზიცია თუ ვერ გაიმარჯვებს, უკლებლივ მონასტერში უნდა წავიდნენ“



სოსო ცინცაძე: „პომპეოს ზარი არ იყო საჩუქარი და სადღეგრძელო მმართველი ძალისთვის. ეს არ არის მორიგი განცხადება. ეს არის მოწოდება და ეს მოწოდება უნდა გაიგოს „ქართულმა ოცნებამ“

გვ.4

გვ.3

რომან გოცირიძე: „ვაშაძემ ზედმეტი მოითხოვა და იმიტომ ვერ შევთანხმდით“

„რეგიონებში ჩვენი კანდიდატები გვეყოლება“

ნიკა ჩიტაძე: „სალომე სამადაშვილის განცხადებები ივანიშვილის წისქვილზე ასხამს წყალს“

გვ.3

რას მოუტანს დანარჩენ საქართველოს რუსი ტურისტების მოზღვავება აფხაზეთში?

ცხინვალის რეგიონმა შეზღუდვები აგვისტოს ბოლომდე გააგრძელა

გვ.4

ლერი სულაბერიძის მანქანის დაცხრილვისთვის ირაკლი ღლონტი დააკავეს

გვ.5

ლერი სულაბერიძე: „არ ვიცი, ვინ მესროდა“

ISSN 1987-9385

2 გიგი უგულავა: „გახარია ვერ იტანს გომელაურს, კალაძეს — ლილუაშვილი, კობახიძე გულყრას იწვევს“

6 ინგუშეთში როსგვარდიის ოფიცერი მოკლეს

5 მარნეულში ა.ო.-მ არასრულწლოვანი გოგონა გააუპატიურა დაკავებულია 3 პირი

6 ბელარუსში რუსული კერძო სამხედრო კომპანიის 32 წევრი დააკავეს

ნაციონალების სიის მეორე ნომერი პაატა ბურჭულაძე იქნება?!

სიას სათავეში გრიგოლ ვაშაძე ჩაუდგება

ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მეუღლე სანდრა რულოვსი საპარლამენტო არჩევნებისთვის ბრძოლას ეთიშება. ის არც ზუგდიდში იქნება მაჟორიტარობის კანდიდატი.

ვინ მოხვდება და ვინ ვერა მთავარი ოპოზიციური პარტიის კოალიციურ საარჩევნო სიაში? შესთავაზეს თუ არა ამ სიის მე-3 ნომრობა პარტიის „კანონი და სამართალი“ ლიდერ თაკო ჩარკვიანს და მოხვდებიან თუ არა სააკაშვილის სიის გამსვლელ ადგილებზე დეპუტატები სამადაშვილი-ბოკუჩავა?

სიების საბოლოო ფორმირებამდე ჯერ კიდევ ერთთვიანი ვადაა, თუმცა, 2020 ნიუსის ინფორმაციით, მიხეილ სააკაშვილს უარყოფითი გადაწყვეტილება რამდენიმე თანაპარტიელზე მიღებულიც აქვს და საერთო სიის მონახაზიც უკვე გაკეთებულია.

უფრო მეტიც, გამსვლელი ადგილების მფლობელები ცნობილი არიან და ისიც ცნობილია, კოალიციიდან „ძალა ერთობაშია“ რომელი ერთკაციანი პარტიების ლიდერები მოხვდებიან ამ სიაში.

სიის გამსვლელ ადგილებზე ვერ მოხვდებიან დეპუტატები სალომე სამადაშვილი და თინა ბოკუჩავა. მათ ბედს გაიზიარებს ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი და ყოფილი დეპუტატი გიორგი ბარამიძეც.

შიდაპარტიული გამოკითხვებით, მაღალი რეიტინგი პარტიის პოლიტსაბჭოს თავმჯდომარე ნიკა მელიასა და პრეზიდენტობის ექსკანდიდატ გრიგოლ ვაშაძეს აქვთ.

რეიტინგის გამო გრიგოლ ვაშაძე სიის პირველი ნომერი იქნება.

სააკაშვილის კოალიციური სიის მეორე ნომერი მსოფლიო ბანი პაატა ბურჭულაძე იქნება. მისთვის ეს ადგილი სიაში შენახულია და საქართველოში ჩამოსვლისთანავე, აეროპორტში გააკეთებს ამის შესახებ განცხადებას.

მესამე ნომერი ნიკა მელია იქნება, მეოთხე კი – შს მინისტრის ყოფილი მოადგილე ხატია დეკანოიძე, რომლის კანდიდატურა, ამავდროულად, სამაჟორიტარო ფრონტზეც განიხილება, თუმცა თავად დეკანოიძე საარჩევნო ოლქს ჯერ არ აკონკრეტებს.

ამ კოალიციურ სიაში მესამე ადგილი სულ ახლახან „ახალი საქართველოს“ ლიდერ გიორგი ვაშაძესთან ერთად კოალიციიდან „ძალა ერთობაშია“ გასულ თაკო ჩარკვიანს შესთავაზეს, ვიდრე ის ამ კოალიციას დატოვებდა.

თუმცა ჩარკვიანმა შეთავაზებაზე უარი თქვა და ვაშაძესთან ერთად ახალი კოალიციით – „სტრატეგია აღმაშენებლით“ გავა საარჩევნო ფრონტზე საბრძოლველად „დამსხვრეული ოცნებების“ პარტიის წინააღმდეგ.

ისნის სამაჟორიტარო ოლქში, სადაც ვაშაძის კანდიდატურა „ლეიბორისტული ეზოს“ ოპოზიციამ დააყენა, ვაშაძეს სწორედ ნაცმოძრაობის ამომრჩევლის იმედი აქვს, თუმცა პარტიის ერთ-ერთმა აქტიურმა წევრმა მეგი გოცირიძემ მუქარით განაცხადა, დასჭირდება ისანში ამომრჩეველი და სიდედრმა მოუყვანოს ვაკიდანო. კოალიციიდან გასვლის გამო ვაშაძეზე თავდასხმა განახორციელა ნაციონალმა სალომე სამადაშვილმაც, რომელმაც ყოფილ თანაკოალიციელს გადადგმული ნაბიჯი დაუწუნა.

თავად ვაშაძე ნაცმოძრაობიდან წამოსულ უარყოფით შეფასებებზე კომენტარს არ აკეთებს და საზოგადოებას ყველა სხვა პარტიაზე აქტიურ საარჩევნო კამპანიას ჰპირდება.

ამასობაში კი ვაშაძის ნაბიჯის მწვავე შეფასებაზე გადართულ თანაპარტიელებს თავადვე არ აქვთ კარგად საქმე პოლიტიკური თვალსაზრისით. მაგალითად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სალომე სამადაშვილი პარტიის საარჩევნო სიის გამსვლელ ნაწილში ვერ მოხვდება.

ახლა დავუბრუნდეთ კოალიციის სიას. მოკლედ, ჩარკვიანის მე-3 ადგილი, მისივე სურვილით, ამ სიაში გამოთავისუფლდა. 2020 ნიუსისთვის ასევე გახდა ცნობილი, რომ საერთო სიაში გამსვლელ ადგილებზე ჩაწერის მსურველებიდან ამ კოალიციაში მხოლოდ ორს არ გაუცრუვდა იმედები. ესენი არიან ნიკა მაჭუტაძე და ბაჩუკი ქარდავა. ისინი სიის ათეულში ვერ მოხვდებიან, მაგრამ გამსვლელ 16 კაცში ნამდვილად იქნებიან.

რაც შეეხება ქალთა კვოტებს, თაკო ჩარკვიანმა მესამეობაზე უარი თქვა, ხატია დეკანოიძე რჩება სიაში. არადა, ახალი კანონმდებლობით, პარტიებმა ყოველ მეოთხე ადგილზე განსხვავებული სქესი უნდა წარადგინონ. რამდენადაც კოალიციას მამაკაცი ბევრი ჰყავს სიაში, ათეულისთვის, დეკანოიძის გარდა, კიდევ ერთი ქალია მოსაძებნი და ეს ქალი ზაზა ოქუაშვილის მეუღლე, ყოფილი „პატრიოტი“ ნატო ჩხეიძე იქნება – კიდევ ერთი ქალი პოლიტიკოსი კოალიციიდან „ძალა ერთობაშია“.

ნატო ჩხეიძე მაჟორიტარობასაც შეერკინება და ის ან ხაშური-ქარელის, ან მეუღლის მშობლიური გორი-კასპის ოლქს შეეჭიდება.

რამდენადაც კოალიცია ახალი წევრების შემომატებას გეგმავს, ასევე, კანონით, ყველა პარტიის სიის ყოველი მეოთხე ქალი უნდა იყოს. იქ სწორედ ცნობადი და ახალი ქალი კანდიდატების მოძიებაზე მუშაობენ და, ასეთების მოძებნის შემთხვევაში, ოცეულს სამადაშვილი-ბოკუჩავა დაემშვიდობებიან.

აქედან გამომდინარე, ნაცმოძრაობაში სერიოზული დაძაბულობაა. საარჩევნო სიის შედგენის პროცესში გამსვლელ ადგილებზე ჩაწერის მსურველთა უკმაყოფილება იზრდება, რადგან მიხეილ სააკაშვილის თვალთახედვის არეში ყველა ველარ მოხვდება.

ეს საშიშროება განსაკუთრებით იმ პოლიტიკოსებს ემუქრებათ, რომლებიც საზოგადოებას 9-წლიან მმართველობას ახსენებენ, წონა არ აქვთ და, შესაბამისად, პარტიის შიდა გამოკითხვებშიც რეიტინგულად მოიკოჭლებენ.

ბოლო კვლევებით, მთავარი ოპოზიციური ძალა არჩევნებში 16%-დან 20%-მდე აიღებს. მომდევნო კვირას პოლიტიკურ კვლევებს დადებს ამერიკული ორგანიზაცია „აირაი“, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი, რომელ პოლიტიკურ ძალასა და რომელ პოლიტიკოსს რა რეიტინგები აქვთ პოსტპანდემიურ და წინასაარჩევნო პერიოდში.

მანამდე კი სააკაშვილის სიაში მოხვდებიან:

სამვარსკვლავიანი გენერალ-ლეიტენანტი დევი ჭანკოტაძე, ყოფილი ჟურნალისტი ზაალ უდუმაშვილი, განათლების ექსმინისტრი დიმიტრი შაშკინი, პარტიის აღმასრულებელი მდივანი კობა ნაყოფია, პოლიტიკოსი გუბაზ სანიკიძე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ექსთავმჯდომარე ლევან ვარშალომიძე. გამსვლელ სიაში ასევე იქნებიან ქვემო ქართლის ექსგუბერნატორი დავით კირკიტაძე და კახეთში მაჟორიტარობის სავარაუდო კანდიდატი გიორგი ბოტკოველი.

გიგი უგულავა: „გახარია ვერ იტანს გომელაურს, კალაძეს – ლილუაშვილი, კობახიძე გულყრას იწვევს“

– მე ვთვლი, რომ ნაციონალური მოძრაობა ღრმად ცდება, როდესაც თვლის, რომ გამარჯვებისთვის მაჟორიტარებში გამსხვილება არ აწყობს, – ამის შესახებ „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა გიგი უგულავამ „პალიტრანიუსის“ გადაცემა „360 გრადუსში“ განაცხადა.

მისი თქმით, არჩევნების მეორე ტურზე აქცენტის გადატანა სარისკოა.

– ჩვენ მიგვაჩნია, რომ პირველი ტურის შემდეგ 5,7 და 10 გამარჯვებული მაჟორიტარი იქნებოდა წინაპირობა იმისა, რომ ჩვენ გამარჯვების მარშად გვექცია მეორე ტური. რვა წელიწადია, ოპოზიციას არ გაუმარჯვია, კორცხელსა და ნასაკირალს თუ არ ჩავთვლით. ოპოზიციურ ამომრჩეველს მომავალში წკიპზე გამარჯვება კი არ სჭირდება, სჭირდება, რომ დაიჯეროს ეს გამარჯვება.

ჩვენ პრინციპულად მიგვაჩნია, რომ მეორე ტურზე ამხელა აქცენტის გადატანა სარისკოა. იმ ერთობას, რასაც ჩვენ ვცდილობთ, პირველ რიგში, ნაციონალური მოძრაობა უნდა ცდილობდეს. ეს არის დიდი პარტია, მაგრამ დიდი არ ნიშნავს ავტომატურად ძლიერს და ძლიერი ნიშნავს იმას, ვისაც ესმის ერთობის ფასი.

მოდი, პრაგმატულად ვთქვათ, ემოციებსა და ალტრუიზმს რომ თავი დავანებოთ, ერთობით თუ ვინმე ძლიერდება, პირველ რიგში ძლიერი ძლიერდება. ჩვენ ცუდი გამოცდილება გვაქვს 2016-2018 წლებში. როდესაც მეორე ტურში თუ 5 ნომერი 41-ის წინააღმდეგ დარჩა მარტო, სასწორი საით გადაიხრება, არ ვიცით, – განაცხადა უგულავამ.

რაც შეეხება მმართველი გუნდის წევრების შეფასებებს ოპოზიციის ერთიანობაზე, უგულავა აცხადებს, რომ „ქართული ოცნების“ მხრიდან ეს „ჩვეულებრივი იაფფასიანი ფანდი და პიარსვლაა“.

– ჩვენ ვლაპარაკობთ ვითომ ერთიან ხელისუფლებაზე, სადაც გახარია ვერ იტანს გომელაურს, კალაძეს ვერ იტანს ლილუაშვილი, ყველას ერთად, ადამიანებად არ თვლის ივანიშვილი, კობახიძე ნახევარი უმრავლესობისთვის გულყრას იწვევს და ეს ხშირად ღიად ჩანს. ასე რომ, ასეთი ადამიანებისგან საუბარი არც მწყინს, იმიტომ რომ ვირისგან წიხლი არ უნდა გეწყინოს.

ჩვენ ამ რვა წლის განმავლობაში არაერთი შემთხვევა გვინახავს, მაგალითად, გაუთლელი თავდაცვის მინისტრი როგორ ლანძღავდა გუნდის წევრ ირაკლი ალასანიას. ამ ადამიანებმა არც გუნდურობა იციან, არც მეგობრობა, არც საჯარო პატივისცემა და, თუ საჭიროა, არც ნორმალური და საქმიანი კრიტიკა არ იციან, – განაცხადა უგულავამ.

ანა დოლიძე დიდუბე-ჩუღურეთში კენჭს იყრის

„ვოლსკისა და მის ამფსონებს საქართველოს ვერ დავუტოვებ!“

ანა დოლიძემ საკუთარი კანდიდატურა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში დააყენა.

ამის შესახებ მან ფეისბუქში დაწერა:

„ჩემო კარგო ხალხო, მივიღე გადაწყვეტილება, დავდგე მაჟორიტარად დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში. ვერ დავუტოვებ საქართველოს გია ვოლსკისა და მის ამფსონებს; ადამიანს, რომელსაც არავითარი შესაძლებლობა არ აქვს, აქციოს ეს რაიონი ქალაქის ეკონომიკურ-კულტურულ ეპიცენტრად, უპასუხოს 21-ე საუკუნის გამოწვევებს და საჭირო ახალი მუხტი მისცეს ჩვენს ქვეყანას.

ან დავრჩებით ვოლსკისთან ერთად ფანრიანი ტელეფონის ეპოქაში, ან შევალთ 21-ე საუკუნეში.

ეს იქნება დავითისა და გოლიათის ბრძოლა, თუმცა, დარწმუნებული ვარ, გამარჯვება საქართველოს უკეთესი მომავლის მხარეზეა“.

თამარ ბაჩალიაშვილის საქმე კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტს გადაეცა

შს მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა თამარ ბაჩალიაშვილის ოჯახის თხოვნა გაითვალისწინა და გარდაცვლილი გოგონას საქმე გამოსაძიებლად ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტისგან თბილისში ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტს გადაეცა.

თამარ ბაჩალიაშვილი 5-დღიანი სამძებრო სამუშაოების შემდეგ, 22 ივლისს, საკუთარ მანქანაში გარდაცვლილი იპოვეს.

გამოძიება ორი – თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლებით მიმდინარეობს.

კორონავირუსით მე-17 პაციენტი, 79 წლის ქალი გარდაიცვალა

საქართველოში კოვიდ 19-ით მე-17 პაციენტი გარდაიცვალა.

79 წლის ქალი მცხეთის სამედიცინო ცენტრში მკურნალობდა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ცენტრში განუცხადეს, გარდაცვლილს, კორონავირუსთან ერთად, თანმხლები დაავადებები ჰქონდა.

– ხანგრძლივი ავადობის შემდეგ გარდაიცვალა, მრავალი თანმხლები პათოლოგიით, – აცხადებენ კლინიკაში.

ქვეყანაში კორონავირუსის სულ 1.155 შემთხვევაა დაფიქსირებული. მათგან 929 გამოჯანმრთელდა.

კარანტინის რეჟიმშია 6.489 ადამიანი, სტაციონარში მეთვალყურეობის ქვეშ 337 პირია, ხოლო უცხოეთიდან სამკურნალოდ გადმოყვანილია საქართველოს 41 მოქალაქე.

მაშველებმა მტკვრიდან მამაკაცის ცხედარი ამოიყვანეს

მაშველებმა მეტეხის ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე მტკვრიდან მამაკაცის ცხედარი ამოიყვანეს.

ადგილზე საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობდა. მობილიზებული იყვნენ სასწრაფო დახმარების ბრიგადები და საპატრულო პოლიციის თანამშრომლები.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 599-532-690
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„სალომე სამადაშვილის განცხადებები ივანიშვილის წისქვილზე ასხამს წყალს“

ნიკა ჩიტაძე: „ევროპული საქართველოს“ პოზიცია სწორია. საქმე გვაქვს ნაცმოძრაობის ამბიციებთან. მათ მარტო მოქმედებით გაუჭირდებათ“

იაგო ნაცვლიშვილი

ოპოზიციურ პარტიებს შორის მორიგი დაპირისპირების ნიშნებია. ამჯერად ერთმანეთთან ღია დისკუსიაში ნაციონალური მოძრაობა და „ევროპული საქართველო“ ჩაერთვნენ. საქმე ეხება მაჟორიტარობის კანდიდატებს. „ევროპული საქართველო“ მთავარ ოპოზიციურ ძალას მაჟორიტარებზე შეთანხმებას სთავაზობს და თავად მხოლოდ 4 ოლქში ითხოვენ კანდიდატების დაყენებას, ნაციონალურ მოძრაობას კი 11 ოლქში უპირობოდ ჰპირდება მხარდაჭერას, თუ შეთანხმება შედგა. თავად ნაციონალური მოძრაობა კი 22-ვე ოლქში აპირებს კანდიდატების დაყენებას.

2 დღით ადრე დაპირისპირების აშკარა ნიშნები გაჩნდა ნაციონალურ მოძრაობასა და გიორგი ვაშაძეს შორის. მას შემდეგ, რაც ვაშაძემ და თაკო ჩარკვიანმა გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ დატოვეს, ენმ-ში იმაზე ალაპარაკდნენ, რომ ვაშაძე ვანო ჩხარტიშვილისგან ფინანსდება. ასეთი განცხადება სალომე სამადაშვილმა გააკეთა, რასაც დიდი საზოგადოებრივი რეზონანსი მოჰყვა.

რა პოლიტიკურ თამაშს თამაშობს ნაციონალური მოძრაობა, ხომ არ ჩნდება „ქართულ ოცნებასთან“ გარკვეული გარიგების ნიშნები თუ საქმე გვაქვს მის პარტიულ ამბიციებთან და რა უნდა გააკეთონ ოპოზიციურმა პარტიებმა წარმატების მისაღწევად? – ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი ნიკა ჩიტაძე საუბრობს.

– ოპოზიციაში დისკუსიის მორიგი რაუნდი დაიწყო მაჟორიტარობის კანდიდატების თემაზე. ნაციონალურ მოძრაობას „ევროპული საქართველო“ სთავაზობს, 18-მდე ოლქში დააყენოს კანდიდატები და მხარს დაუჭერს, მაგრამ ენმ თავს იკავებს. როგორია თქვენი შთაბეჭდილება, რა თამაშს თამაშობს ნაცმოძრაობა?

– ჩემი აზრით, შესაძლოა, ნაციონალური მოძრაობის პოზიციაა, რომ ის არის მთავარი ოპოზიციური ძალა და, აქედან გამომდინარე, ასე ვთქვათ, მიიჩნევს, რომ ყველა ოლქში მან უნდა წარადგინოს მაჟორიტარობის კანდიდატები. საუბარი მაქვს თბილისის გარეთ არსებულ ოლქებზე. მოგეხსენებათ, ასეთი სულ 22 ოლქია.

ვფიქრობ, ამ აზრს ავითარებს ნაციონალური მოძრაობა, მაგრამ, მგონია, რომ აქ საქმე გვაქვს მისი მხრიდან დაშვებულ შეცდომასთან, იმიტომ, რომ „ევროპული საქართველო“ ნაციონალურ მოძრაობას სთავაზობს, რომ მხოლოდ ოთხ მაჟორიტარულ ოლქში წარადგენენ თავიანთ კანდიდატურას. საუბარია აკაკი ბობოხიძეზე, გიგი უგულავაზე და ა.შ. ჩემი აზრით, აუცილებელია, მოხდეს ოპოზიციური შეთანხმება და ოპოზიციური პარტიები უნდა მივიდნენ საერთო აზრამდე.

სამწუხაროა, რაც ხდება. თუნდაც ის ფაქტიც ძალიან ცუდია, როდესაც გაერთიანებულ ოპოზიციას გამოეყო პროექტი, „სტრატეგია აღმაშენებელი“ და ამ ერთობაში აღარ არიან არც გიორგი ვაშაძე და არც თაკო ჩარკვიანი. ეს არ არის კარგი გაერთიანებული ოპოზიციისთვის „ძალა ერთობაშია“.

ალბათ, ნაციონალური მოძრაობა მიიჩნევს, რომ ყველაზე მაღალი რეიტინგი მას აქვს და მას გააჩნია ყველაზე დიდი რესურსი იმისათვის, რომ „ქართულ ოცნებას“ დაუპირისპირდეს.

– თუმცა, ფაქტია, რომ ნაციონალური მოძრაობა დამოუკიდებლად ვერ დაამარცხებს „ქართულ ოცნებას“ და სჭირდება ოპოზიციური კოორდინაცია. რასაც ის ბოლო პერიოდში აკეთებს, ხომ არ არის გარკვეული წყალგამყოფი ოპოზიციურ ძალებს შორის?

– იმედი მაქვს, საბოლოო შეთანხმება მოხდება, იმიტომ, რომ თავის დროზე ნაციონალურმა მოძრაობამ გარკვეული კომპრომისული ნაბიჯი გადადგა, როდესაც თბილისში დათმო ექვსი მაჟორიტარული ოლქი. აქედან გამომდინარე, იმედი ახლაც მაქვს, რომ კოორდინირებული მოქმედებების მიღწევა ამ შემთხვევაშიც იქნება შესაძლებელი.

გასაგებია, რომ ოპოზიციურ პარტიებს შორის ნაცმოძრაობას ყველაზე მაღალი რეიტინგი აქვს, თუმცა, საბოლოო ჯამში, ეს არ იძლევა იმის საფუძველს, რომ ვისაუბროთ იმაზე, რომ მას არ უნდა ჰქონდეს კოორდინაცია სხვა ოპოზიციურ ძალებთან. მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს კოორდინაცია სხვა ძალებთან. იმავე „სტრატეგია აღმაშენებლის“ ბაზაზე იქმნება ახალი პოლიტიკური პლატფორმა. მასთანაც უნდა ჰქონდეს კოორდინაცია და ასევე – სხვა ძალებთანაც.

ეს ეხება იმ თემასაც, რომელი კითხვაც თავდაპირველად დამისვით. მხედველობაში მაქვს საერთო მაჟორიტარების წარდგენა. სხვანაირად თუ გადანაწილდა პოლიტიკური პროცესი, შესაძლებელია, „ქართული ოცნების“ კანდიდატებმა

მაჟორიტარულ ოლქებში დაამარცხონ ოპოზიციური კანდიდატები. რაც მოხდა 2016 წელს, შესაძლოა, ისევ ის სცენარი განვითარდეს, როდესაც 73-ვე ოლქში გაიმარჯვა ან გაამარჯვებინეს „ქართული ოცნების“ კანდიდატებს.

– ანუ თქვენ პრობლემას ხედავთ ნაციონალური მოძრაობის ამბიციებში, რომ ის გახდეს ბევრად უფრო ლიდერი პარტია, ვიდრე დანარჩენები?

– ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანს. თუ ისინი აპირებენ 22-ვე დარჩენილ ოლქში მაჟორიტარობის კანდიდატის წარდგენას, ასე გამოდის. შესაძლოა, ისინი დარწმუნებული არიან, რომ მთავარი ოპოზიციური ძალა გახლავთ და პირველ რიგში მათ უნდა წარადგინონ კანდიდატები.

– მთავარ ოპოზიციურ ძალად ისედაც რჩება და ამას არც არავინ უარყოფს.

– კი, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ კოორდინაციის გარეშე მას გაუჭირდება. მარტო მოქმედება მისი მხრიდან ძალიან რთული იქნება, მით უმეტეს იმ ფონზე, როდესაც „სტრატეგია აღმაშენებლის“ ფორმატში მნიშვნელოვანი პროექტები ხორციელდებოდა და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ხდებოდა ხელისუფლების შეცდომებთან დაკავშირებით, მაგრამ აქაც სამწუხაროა დაქსაქსულობა. ყველაფერი ეს ნეგატიურად აისახება ოპოზიციური ძალების რეიტინგზე, მათ საქმიანობაზე და ა.შ.

– რამდენიმეჯერ ახსენეთ „სტრატეგია აღმაშენებელი“. აქაც ხომ არ არის დაშვებული შეცდომები? ვგულისხმობ იმ რიტორიკას, რომელიც გაისმა ენმ-ის მხრიდან, რომ თითქოს გიორგი ვაშაძეს ვანო ჩხარტიშვილი აფინანსებს და თურმე ახლა გაიგეს. რამდენად სწორია ეს?

– არ არის სწორი. როდესაც სალომე სამადაშვილი აცხადებს, რომ გიორგი ვაშაძეს ვანო ჩხარტიშვილის სახით დამფინანსებელი ჰყავს და როდესაც ამას ახლა აცხადებს, ბუნებრივია, იბადება კითხვა, თუ ეს იცოდნენ, აქამდე რატომ არ აცხადებდნენ ამის შესახებ? დღეს გახდა ცნობილი? მაშინ რატომ თანამშრომლობდნენ მასთან მანამდე? ესეც არცთუ პატიოსანი თამაში და განცხადებაა ქალბატონი სამადაშვილის მხრიდან.

– ხომ არ არის ასეთი განცხადებები ივანიშვილის წისქვილზე წყლის დასხმა?

– რა თქმა უნდა, არის.

– გარკვეული გარიგების ნიშნებსაც ხომ არ ხედავთ ნაციონალურ მოძრაობასა და „ქართულ ოცნებას“ შორის?

– არა, ამას ნამდვილად ვერ ვხედავ. ოპოზიციურ ძალასა და ხელისუფლებას შორის გარიგება არ არსებობს. არა მგონია, ასე იყოს. ეჭვი მეპარება ამაში.

უბრალოდ, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ნაციონალური მოძრაობის ამბიციებთან.

– რა უნდა გააკეთოს ოპოზიციამ იმისათვის, რომ ისევ ისეთივე წარმატებით განახორციელოს პროექტები, რაც, მაგალითად, იყო საარჩევნო სისტემის შეცვლასთან დაკავშირებით და ეს ჩიხი აღარ იყოს?

– ამისათვის, ბუნებრივია, კოორდინირებული მოქმედებებია საჭირო. ასევე საჭიროა მაჟორიტარებთან დაკავშირებით შეთანხმება და ძლიერი და სუსტი მხარეების გათვალისწინება. მე ერთ-ერთ ინტერვიუში გითხარით, რომ ხელისუფლების ძლიერი მხარეა, როცა 300.000 ადამიანი საჯარო სექტორშია დასაქმებული და ეცდება ამის გამოყენებას, ასევე ის, რომ ბიზნესის დიდი ნაწილი მხარს უჭერს „ქართულ ოცნებას“ და, აქედან გამომდინარე, ოპოზიციას მით უმეტეს მართებს კიდევ უფრო მეტად თანამშრომლობა და კოორდინირებული მოქმედებები. დაპირისპირება ხელს არ აძლევს მას.

– დაქსაქსულობაც არის „ოცნების“ მიზანი და ხომ არ აღწევს ამ მიზანს ბიძინა ივანიშვილი ამ ეტაპის მონაცემებით?

– კი, სხვისი ხელით ამას აღწევს, რაც თვალნათლივ ჩანს.

– თუ არის სწორი „ევროპული საქართველოს“ პოზიცია, რომელსაც ის აყენებს ნაციონალური მოძრაობისა და სხვა ოპოზიციური პარტიების მისამართით?

– კი, ნამდვილად სწორია. ისინი ოთხ ოლქში ითხოვენ მაჟორიტარების წარდგენას.

– მათი მხრიდან თანამშრომლობის სურვილი ჩანს?

– მგონი, კი.

რომან გოცირიძე: „ვაშაძემ ზედმეტი მოითხოვა და იმიტომ ვერ შეთანხმდით“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე რომან გოცირიძე პასუხობს.

„რეგიონებში ჩვენი კანდიდატები გვეყოლება“

– ბატონო რომან, გიორგი ვაშაძისა და თაკო ჩარკვიანის მიერ ოპოზიციური ერთობის დატოვებას დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. რამდენად აზიანებს ეს პროცესი ოპოზიციურ ერთობას?

– ჩვენ არ დავზიანდებით, რადგან ამ ერთობას სხვა პარტიები შემოუერთდებიან და ასევე სხვა ისეთი პირები, რომლებიც ამომრჩევლისთვის იქნება მისაღები. ამიტომ, პირიქით, გავფართოვდებით. ხოლო რაც შეეხება რომელიმე წევრის გასვლას, ეს მათი ნებაა.

– რა იყო გასვლის მოტივი?

– ამისკენ, შეიძლება, იმანაც უბიძგა, რომ ქვეყანაში შეიცვალა საარჩევნო სისტემა, ბარიერი არ არის მაღალი. როდესაც 1%-იანი ბარიერია და 20 ათასამდე ხმაა საჭირო, ბევრ პარტიას, შეიძლება, გაუჩნდეს ცდუნება, რომ გავიდეს მარტო. ვიღაცისთვის, შეიძლება, ეს იყოს შანსი, რომ დაძლიოს ბარიერი და გაიყვანოს ერთი-ორი კანდიდატი, ხოლო ვიღაცისთვის, შეიძლება, იყოს ილუზია და დარჩეს გარეთ. ყველა თვითონ ზომავს საკუთარ რისკებსა და მოქმედებებს. გასვლა არ არის კარგი, მაგრამ აქეთკენ მიდიოდა პროცესი.

– ამაში რას გულისხმობთ?

– იმას, რომ ძალიან არაადეკვატური იყო სიაში მოთხოვნები მათი მხრიდან.

– ამდენს რას ითხოვდნენ?

– დაახლოებით იმდენს ითხოვდნენ, რამდენსაც „ძალა ერთობაშიაში“ გაწევრიანებული ათი პარტია, ერთად აღებული. ეს ან არასწორი გათვლა იყო, ან ჰქონდათ იმაზე საუბარი, რომ შემოეთავაზებინათ აბსურდული წინადადებები: პრემიერმინისტრობის კანდიდატობა, 8-9 მაჟორიტარი და მერე, უარის შემთხვევაში, დაეტოვებინათ ეს ერთობა.

– მიზეზი სჭირდებოდათ ერთობის დასატოვებლად?

– ეს ვერსიაც იმსახურებს განხილვას. მოკლედ, ასეა თუ ისე, ჩვენ გიორგი ვაშაძეს მაინც

ვუჭერთ მხარს ისნის ოლქში და შეთანხმების ეს ნაწილი უცვლელი რჩება. მას ექნება ჩვენი მხარდაჭერა.

– როდესაც პრემიერმინისტრობის კანდიდატად დასახელდა გიორგი ვაშაძე თაკო ჩარკვიანის მიერ და დანარჩენმა ოპოზიციამ უარი თქვა, მას შემდეგ გაფუჭდა ამ ერთობაში ურთიერთობები. ჰქონდა ვაშაძეს რეალურად ამის ამბიცია?

– ესეც ერთ-ერთი არასასიამოვნო მომენტი იყო. რატომ არ უნდა ჰყავდეს პრემიერობის კანდიდატი ნაციონალურ მოძრაობას?! შეიძლება, ყველა პარტიას ჰყავდეს პრემიერობის კანდიდატი, მაგრამ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ პრემიერობის კანდიდატი გახდება ის, ვინც აიღებს 2 ან 3%-ს. პრემიერობის კანდიდატი იქნება რომელიმე დიდი პარტიიდან და მომავალში ეს შეთანხმების საკითხია.

არ შეიძლება, პრემიერობის კანდიდატი ერთი იყოს და მთავრობაში წამყვანი ფიგურები – მეორე, თუმცა დღეს ამაზე საუბარი სასაცილოა. არ არის ლამაზი, როგორც იტყვიან, მოუკვლელი დათვის ტყავის გაყოფა და ამაზე ჩხუბი და ვაჭრობა.

– ამომრჩევლისთვისაც ეს ყველაფერი არასასიამოვნო საყურებელია. ასე არ ფიქრობთ?

– კი, ასეა. ამიტომ არ არის საჭირო წინასწარ გამარჯვების ზეიმი, თუმცა, დიდი ალბათობით, პროპორციულ ნაწილში, სადაც 120 მანდატი ნაწილდება, ოპოზიცია იმარჯვებს, იმიტომ, რომ ის 38%, რომელიც გამოკითხვაში ჰქონდა „ქართულ ოცნებას“, არის მისი პიკი, რაშიც დაეხმარა პანდემია.

– რას გულისხმობთ?

– 4-თვიანი ჩაკეტილობისას ისინი გაქანებული საარჩევნო კამპანიის პერიოდში იმყოფებოდნენ. გადიოდნენ მათი მაჟორიტარები რეგიონებში და არიგებდნენ შაქარს, ზეთსა და კარტოფილს, ხოლო ოპოზიციური პარტიები გამოკეტილი იყვნენ სახლში და ტელევიზიაშიც კი დეპუტატები ტელევიზიების მანქანებით მიდიოდნენ. სხვანაირად არ შეიძლებოდა მოძრაობა.

ხელისუფლებამ ისარგებლა ამ ვითარებით და დანგრეული იმიჯი ოდნავ აღიდგინა, თუმცა ეს 38% იყო მისი პიკი. ნელ-ნელა დაიწყო ქვემოთ ჩამოსვლა. ერთ ან ორ სატელიტთან ერთად, მაქსიმუმ, 40-45% აიღოს „ქართულმა ოცნებამ“. აქეთ კი რჩება 55%, რაც, სულ მცირე, 10-მანდატიანი სხვაობაა.

როცა პირველი ტური დამთავრდება და ხელში გვეჭირება პლუს 12 მანდატი, ასევე უმეტეს ოლქებში დაინიშნება მეორე ტურები, ხალხი დაინახავს, რომ ხელისუფლება იცვლება. აი, მაშინ შეიძლება უკვე ლაპარაკი პრემიერობის კანდიდატზე და, შესაძლოა, ჩამოყალიბდეს ოპოზიცია მთავრობაზეც, რომ გავლენა მოახდინოს მეორე ტურზეც. ახლა რა დროს ერთიანი შეთანხმებული პრემიერობის კანდიდატია!

– ითქვა ისიც, რომ ვაშაძესთან მიმართებით ვანო ჩხარტიშვილის ინტერესები გამოიკვეთა. ამაზე რას იტყვით?

– ვერ გეტყვით, კონკრეტულ სახელებსა და გვარებზე ვერ ვისაუბრებ. თუ ასეა, მაშინ ლოგიკურად ისმება კითხვა: ჩხარტიშვილი მანამდე რატომ არ გვახსოვდა, სანამ ეს წინააღმდეგობა მოხდებოდა ამ პარტიებსა და ვაშაძეს შორის, ან მაშინ, როდესაც საარჩევნო შტაბის თავმჯდომარე იყო? ახლა ხომ არ გამხდარა ჩხარტიშვილის სიძე!

ბუნებრივია, ისმება კითხვები, მაგრამ, არ მინდა, შეთქმულების თეორიებში გადავვარდე. აქ არსებითი ნაწილი არის პოლიტიკური პროცესი, რომელიც არ დაემთხვა ერთმანეთს.

– ანუ მას ჰქონდა მეტი ამბიცია, მეტი მოთხოვნა და ვერ შეთანხმდით?

– დიახ, არაადეკვატური მოთხოვნები იყო და ეს არის მთავარი პრობლემა.

– ვაშაძემ განაცხადა, რომ ის თაკო ჩარკვიანს დაუჭერს საბურთალოზე მხარს, ასევე ლელოდან ჯაფარიძე იყრის კენჭს, ალეკო ელისაშვილიც. ეს ყველა ერთ ოპოზიციურ ერთობაში მოიაზრებოდა. ვინ იქნება გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატი?

გაგრძელება მე-4 გვერდზე

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ.: 598-43-98-57

„ოპოზიცია თუ ვერ გაიმარჯვებს, უკლებლივ მონასტერში უნდა წავიდნენ“

სოსო ცინცაძე: „პომპეოს ზარი არ იყო საჩუქარი და სადღეგრძელო მმართველი ძალისთვის. ეს არ არის მორიგი განცხადება. ეს არის მოწოდება და ეს მოწოდება უნდა გაიგოს „ქართულმა ოცნებამ“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო სოსო, ოპოზიცია ვერ ახერხებს რეგიონებში მაჟორიტარებზე შეთანხმებას. ასევე გაურკვეველია, თბილისის ორ ოლქში რა მოხდება. თქვენ როგორი მოლოდინი გაქვთ?

– არასდროს მქონია იმის ილუზია, რომ ოპოზიცია გაერთიანებას შეძლებდა, რასაც რეალური ერთობა ჰქვია. არა მხოლოდ ამ არჩევნებზე, ჯერ კიდევ ეროვნული მოძრაობიდან ეს ვერ ხერხდებოდა. ყველაფერი ვნახეთ, მოლაპარაკებები, შეხვედრები, სადღეგრძელოს სტილში საუბრები, მაგრამ ვერ ვნახეთ რეალური საქმე. მთელი ამ ხნის განმავლობაში აშკარად გამოჩნდა, ვინ იბრძვის პარლამენტარის სკამისთვის და ვინ – ყოველგვარი ანგარების გარეშე.

ბოლო დროს გიორგი ვაშაძისა და თაკო ჩარკვიანის მოულოდნელი ერთობა და გასვლა, სიმართლე გითხრათ, ვერ გავიგე, რას ემსახურება. კულუარულად უკვე გაისმის, რომ ვაშაძემ დაფინანსება ვანო ჩხარტიშვილისგან მიიღო, თუმცა, რამდენად საფუძვლიანია, ვერ გეტყვით.

მიუხედავად ასეთი გადახვევებისა, რასაც ჩვენ დღეს ოპოზიციურ ფლანგზე ვადევნებთ თვალ-ყურს, მაქვს იმის იმედი, რომ ძალიან გაუჭირდება ნებისმიერ პარტიას, დამოუკიდებლად შექმნას მთავრობა. მონოპოლია დასრულდება და ამის საფუძველს იძლევა ის საკონსტიტუციო ცვლილებები, რაც მართლაც არის მონაპოვარი.



თუ ასე არ მოხდა, მაშინ ოპოზიცია უკლებლივ მონასტერში უნდა წავიდეს. როგორც ჩანს, მათი საქმე პოლიტიკა არ არის და ეს უნდა აღიარონ, თან, ბევრი მოსანანიებელიც ექნებათ. თავი უნდა დაანებონ პოლიტიკოსობანას თამაშს.

– „ოცნებაზეც“ უნდა გკითხოთ, რაიმე ცვლილებებს ელოდებით წინასაარჩევნოდ მმართველ პარტიაში?

– აშკარაა ბზარები, რომლებიც მმართველ პარტიაში ჩნდება. შემთხვევითი არ ყოფილა პრემიერის პატარა წკიპურტი, რომლის უფლებაც მან საკუთარ თავს მისცა შინაგან საქმეთა მინისტრის მისამართით, თუმცა წკიპურტი წკიპურტად დარჩა და ყველამ დაინახა, რომ გომელაური ხელშეუხებელია. გახარია თუ ასეთ წკიპურტებს გააგრძელებს, მისი პირველნომრობა ეჭვქვეშ დადგება.

– თუ არჩევნების შედეგებით გაირკვა, რომ კოალიციაა საჭირო, ვისა და ვის შორის წარმოგიდგენიათ ერთობლივი მთავრობა?

– პირველ რიგში, ეს დამოკიდებული იქნება ძალთა თანაფარდობაზე. საერთოდ, პოლიტიკაში იდეოლოგიურ განსხვავებას დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ჩვენთან ასეთი განსხვავებულობა, თვით „ოცნების“ ჩათვლით, არ არსებობს. ეს ზღვარი მოშლილია. ერთადერთი გამონაკლისი „გირჩია“, რომელიც მართლაც არის განსხვავებული იდეოლოგიისა და, რაც მთავარია, თანმიმდევრულია, თუმცა „გირჩს“ აქვს ერთი პრობლემა – მათი ამომრჩევლები თინეიჯერები არიან, რომლებსაც ან საარჩევნო ასაკისთვის ჯერ ვერ მიუღწევიათ, ან არჩევნებზე არ დადიან. ეს ის პუბლიკაა, რომელიც მიტინგებზე უფრო მეტი ენთუზიაზმით დადის, ვიდრე არჩევნებზე. ამ მიმართულებით „გირჩს“ სერიოზული მუშაობა მოუწევს. მათ უნდა შეძლონ საკუთარი მომხრეების არჩევნებზე მიყვანა.

– „ოცნებისა“ და ნაციონალების კოალიცია წარმოგიდგენიათ?

– ძალიან რთულად, ალბათ – ვერა, თუმცა პოლიტიკაში არასდროს უნდა თქვა არასოდეს! ნაციონალურმა მოძრაობამ საპრეზიდენტო არჩევნებში დაამტკიცა, რომ ჯერ კიდევ გააჩნია ელექტორალური რესურსი.

ერთი, რაც დღეს დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, არის ის, რომ ეს არჩევნები დღემდე რჩება სერიოზულ გამოცანად, თუ რა მოხდება. ჩემი მრავალწლიანი გამოცდილების განმავლობაში სულ რამდენიმე არჩევნები მახსენდება, რომლებიც ასეთ გამოცანად რჩებოდა და დიდ ინტერესს იწვევდა.

მიუხედავად ყველაფრისა, არჩევნებამდე მაინც დიდი დროა დარჩენილი და არავინ იცის, რეალურად რა მოხდება. არავინ იცის, თუნდაც რა მოხდება ვირუსის მხრივაც, როგორი მოცემულობა იქნება იმ დროისთვის.

ეს არჩევნები იძლევა, ყველაფრის მიუხედავად, შანსს, რომ საქართველომ გადადგას ერთი პრინციპული ნაბიჯი წინ დემოკრატიისკენ და ეს იქნება სინათლის ნაპერწკალი ძალზე გრძელი გვირაბის ბოლოს.

– რას გულისხმობთ?

– კოალიციურ მმართველობას, ერთმანეთის კონტროლსა და დაბალანსებას. ნებისმიერი პარტიის დომინირება და მონოპოლია უნდა დასრულდეს! ეს ეტაპი უკვე გავიარეთ. ახლა ახალი მმართველობის, ახალი გამოცდილების ეტაპი უნდა დაიწყოს, მიუხედავად იმ სირთულეებისა, რომლებიც ახლავს კოალიციურ მმართველობას. ევროპამ ეს გზა დიდი ხნის წინ გაიარა. მართალია, იქაც იყო სირთულეები, დღემდე არის, მაგრამ რეალურად ევროპა გადაარჩინა პროპორციულმა სისტემამ და კოალიციურმა მმართველობამ. უბრალოდ, უნდა გავაცნობიეროთ, რომ ალტერნატივა არ არსებობს. ალტერნატივა დიქტატურაა. დიქტატურისგან კი ღმერთმა დაგვიფაროს.

– მაიკ პომპეოს ზარზეც უნდა გკითხოთ. გია ვოლსკი აცხადებს, რომ გაუგებარია ოპოზიციის ჟივილ-ხივილი, ოპოზიცია კი ამ ზარს სერიოზულ სიგნალად მიიჩნევს. რას იტყვით?

– გია ვოლსკის ამ კოჰორტაში, თავისი განვლილი სკოლიდან გამომდინარე, ყველაზე ჭკვიან პოლიტიკოსად მივიჩნევ, მაგრამ მიკვირს ეს კომენტარი. ჟივილ-ხივილის საფუძველი ოპოზიციას, შეიძლება, მართლაც არა აქვს, მაგრამ ეს ზარი რომ არ იყო საჩუქარი და სადღეგრძელო მმართველი ძალისთვის, ესეც ფაქტია. ისიც ფაქტია, რომ ამერიკის სახელმწიფო მდივანი განცხადებას განცხადებისთვის არ აკეთებს. ეს არ არის მორიგი განცხადება. ეს არის მოწოდება და ეს მოწოდება უნდა გაიგოს „ქართულმა ოცნებამ“.

რას მოუტანს დანარჩენ საქართველოს რუსი ტურისტების მოზღვავება აფხაზეთში?

ცხინვალის რეგიონმა შეზღუდვები აგვისტოს ბოლომდე გააგრძელა

მარიამ მჭედლიშვილი

როგორი მკაცრი სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური კონტროლიც არ უნდა დაამყაროს საქართველოს ხელისუფლებამ იმ ნაწილში, რომელზეც თავის იურისდიქციას ფაქტობრივად ავრცელებს, რჩება კოვიდ 19-ის გავრცელების საფრთხე ოკუპირებული რეგიონებიდან.

აქამდე რისკს ამცირებდა ოკუპირებული ტერიტორიების – აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ჩაკეტვა. რუსეთიდან მიმოსვლა ორივეგან შეწყვეტილი იყო, მოქალაქეების შემოშვება კი – რეგლამენტირებული.

აფხაზეთში საზღვრის გახსნას ელიან. ბევრი ჯავშანი უკვე გაცემულია. სანიტარიული წესების დაცვა კი ეჭვის ქვეშ დგას. დე ფაქტო პრეზიდენტმა შეზღუდვები 4 აგვისტომდე გააგრძელა.

ოკუპირებული აფხაზეთი დამსვენებლებისა და ექსკურსანტების შემოსვლასა და ტურისტული სეზონის დაგვიანებით გახსნას გეგმავს.

რუსეთის სანიტარიულმა ექიმებმა აფხაზეთში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა სტაბილურად შეაფასეს. როსპოტრებნადზორის დელეგაციამ ჩაატარა რესპუბლიკის ტურისტული ობიექტების მონიტორინგი და დაასკვნა, რომ შესაბამისი წესების დაცვის შემთხვევაში მათ შეუძლიათ, მიიღონ ტურისტები რუსეთიდან. შენიშვნა გამოითქვა მხოლოდ რამდენიმე ობიექტის მიმართ.

როსპოტრებნადზორმა უცნაურად მაღალი შეფასება მისცა აფხაზეთში მოქმედ ლაბორატორიას, რომელიც კორონავირუსის დიაგნოსტირებას ახდენს. მაღალი დონის ლაბორატორიები რუსეთის ქალაქების აბსოლუტურ უმრავლესობაშიც არ არის და ის ვერ იქნება ოკუპირებულ ტერიტორიაზე. მედიკამენტები და დამცავი საშუალებები აფხაზეთში საქართველოს ხელისუფლების თხოვნით გაზაფხულზე საერთაშორისო ორგანიზაციებმა შეიტანეს.

რუსი მედიკოსების შეფასებით, აფხაზეთის ლაბორატორია საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება. ამასთან, აუცილებელია მისი გაძლიერება.

სასტუმროებისა და ჰოსტელების მფლობელები, ასევე ოთახების გამქირავებლები, კვების ობიექტების მფლობელები თუ მოვაჭრეები, დამსვენებლებს მოუთმენლად ელიან. ამაზეა დამოკიდებული მათი არსებობა.

ამასთან, ისინი ეჭვს გამოთქვამენ იმის თაობაზე, რომ როსპოტრებნადზორის მიერ დადგენილი წესების შესრულება ბევრმა შეძლოს.

აფხაზეთის ოტელიერთა გილდია აცხადებს, რომ პატარა სასტუმროებისა და ოტელებისათვის წესები გაუგებარია.

– როსპოტრებნადზორის რეკომენდაციები გათვლილია დიდ სასტუმროებზე. პატარა სასტუმროები მას ვერ დაიცავენ, – აღნიშნავს გუდაუთელი ბიზნესმენი.

იგი დარწმუნებულია, რომ საზღვრის გახსნის შემდეგ ტურისტებს მიიღებს ყველა, რეკომენდაციებს კი თითქმის არავინ გაითვალისწინებს.

გაგრელი მეპატრონე აცხადებს, რომ ტურისტულ ობიექტზე საერთო სამზარეულო და საერთო სასადილო აქვს და მის შეცვლას არ აპირებს.

ბიჭვინთის ერთ-ერთი დიდი სასტუმროს მფლობელი ჯერ ჯავშნების გაცემისაგან თავს იკავებს და საზღვრის გახსნას ელოდება. მისი თქმით, მას რუსეთიდან უამრავი მსურველი უკავშირდება. ადლერიდან ბიჭვინთამდე არსებობს სახმელეთო და საავიაციო ტრანსფერები.

უფრო მეტ გაურკვევლობაში არიან პატარა სასტუმროების მფლობელები და ოთახების გამქირავებლები. ზოგიერთი მათგანი კოვიდ 19-ის გავრცელების ან ნორმების დარღვევის შიშით ტურისტების მიღებაზე წელს უარს ამბობს.

სოხუმელი პუბლიცისტი ნადეჟდა ბენედიქტოვა დარწმუნებულია, რომ ტურისტების მოზღვავება სარისკოა, მით უმეტეს იმ პირობებში, როცა ბევრი ადამიანი მსუბუქად უყურებს პანდემიას და არც იცავს სანიტარიულ ნორმებს.

ცხინვალში მოქმედი შტაბის დასკვნით, რესპუბლიკაში სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა სტაბილურია.

ამის მიუხედავად, რუსეთ-საქართველოს საზღვრის აქ გამავალი მონაკვეთი აგვისტოს ბოლომდე დაკეტილი იქნება.

დე ფაქტო პრეზიდენტი ანატოლი ბიბილოვი აცხადებს, რომ შესამუშავებელია გეგმა ვლადიკავკაზში გაჩერებული თანამემამულეების დასაბრუნებლად. მათ ცხინვალის რეგიონში შემოსვლის შემდეგ კარანტინის გავლა მოუწევთ.

სერგი კაპანაძე: „ყველა დიდ ქალაქში ნაცმოძრაობის კანდიდატი დადგეს და 4 ოლქში – „ევროპული საქართველოსი“

„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერის სერგი კაპანაძის განცხადებით, სამწუხაროდ, ნაციონალურმა მოძრაობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ რეგიონების ყველა ოლქში მაჟორიტარობის საკუთარი კანდიდატი დააყენოს.

კაპანაძის თქმით, ნაციონალურ მოძრაობას კიდევ აქვს დრო, წამოვიდეს იმ შეთანხმებაზე, რომლის მიხედვითაც, მათ ერთობლივ კანდიდატებს პირველ ტურში გამარჯვების უფრო მაღალი შანსები ექნებათ.

– სამწუხაროდ, ნაციონალურმა მოძრაობამ გადაწყვეტილება მიიღო, რომ რეგიონების ყველა ოლქში დააყენოს მაჟორიტარობის კანდიდატები. ჩვენ მათთან გვქონდა კონსულტაციები და ჯერ კიდევ მიგვაჩნია, რომ არის დრო, შემდეგი 1-2 დღის განმავლობაში მაქსიმუმ, მათ შეუძლიათ წამოვიდნენ შეთანხმებაზე, რომელიც გულისხმობს, რომ პრაქტიკულად ყველა დიდ ქალაქში ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარობის კანდიდატი დადგება და ჩვენ მათ მხარს დავუჭერთ, ხოლო სანაცვლოდ რამდენიმე ოლქში, კერძოდ, 4 ოლქში, იქნებიან „ევროპული საქართველოს“ კანდიდატები.

ეს მოგვცემს საშუალებას, ჯამურად 12 ოლქში და შეიძლება მეტშიც, თუ მათი მხრიდან თანხმობა იქნება, გვყავდეს შეთანხმებული კანდიდატები, რომლებსაც ექნებათ შანსი, პირველ ტურში დაამარცხონ „ქართული ოცნება“.

ეს ოლქები, რომლებზეც ჩვენ ვსაუბრობთ, ავიღეთ იმ შედეგების გათვალისწინებით, რომლებიც 2018 წელს პირველი და მეორე ტურებში დადგა, ანუ ეს ის ოლქებია, სადაც თუ ნაციონალური მოძრაობისა და „ევროპული საქართველოს“ ერთობლივი მხარდაჭერა ექნებათ კანდიდატებს, ალბათობა იმისა, რომ პირველ ტურში გაიმარჯვებენ, არის ძალიან მაღალი, – განაცხადა კაპანაძემ.

რომან გოცირიძე: „ვაშაძემ ზედმეტი მოითხოვა და იმიტომ ვერ შევთანხმდით“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

– ძალიან ცუდია, რომ ამხელა დრო გავიდა და საბურთალოზე კანდიდატი ჯერ კიდევ არ არის. ჩვენ ავიღეთ ორი ოლქი და გამოვეთიშეთ ამ პროცესს. უნდა ნახოთ, რა ხდება ამ ორ ოლქში, გლდანსა და სამგორში, გაქანებული მუშაობაა. სამაგიეროდ, მკვდარია თბილისის დანარჩენი 6 ოლქი. საარჩევნო კამპანია დაწყებულია და კანდიდატის დასახელებას ელოდებიან 2 თვე. ეს 6 ოლქი ჩვენ გარეშე უნდა ყოფილიყო დაკომპლექტებული, მაგრამ ვერ მოხდა შეთანხმება. პირიქით, ერთმანეთს დაერია გაერთიანებული ოპოზიციის ის ფლანგი, რომელთა შორისაც შეთანხმება უნდა ყოფილიყო მიღწეული.

ჯერ ალეკო ელისაშვილი გამოეთიშა თამაშს, მერე – ვაშაძე. იქ დაიწყეს ჩხუბი და ერთმანეთის ლანძღვა-გინება. ერთიან კანდიდატზე რომ შეთანხმებულიყვნენ ან ლელოდან, ან თუნდაც ელისაშვილისთვის დაეჭირათ მხარი, პირველივე ტურში გამარჯვების გაცილებით დიდი შანსი იქნებოდა. დღემდე კვლავ დაულაგებელია ეს ვითარება და არც ის ვიცით, საბოლოოდ რა იქნება. დავაყენებთ ამ ოლქში, არ დავაყენებთ, ეს კიდევ გაურკვეველია.

– ბევრი დრო აღარ არის, ალბათ, მალე უნდა ჩამოყალიბდეთ.

– დიახ, ასეა, თუმცა ეს ჩამოყალიბება დარჩენილ ოპოზიციაზეა დამოკიდებული. გამოვიდნენ და თქვან, მორჩა, დამთავრდა, ეს ორი ოლქი ვერ შევათანხმეთო. ეს იქნება ძალიან სამწუხარო და ვაღიარებ, ნახევრად წარმატებული გამოდგა ეს პროექტი. ამის შემდეგ მივიღებთ გადაწყვეტილებას, რა ვქნათ, ამ ორ ოლქში ინდივიდუალურად ვინმე დავაყენოთ თუ მხარი დავუჭიროთ რომელიმეს.

ამ პროცესებს ჯერჯერობით ვაკვირდებით და ველოდებით, თუმცა, ვიტყვი იმასაც, რომ ასე დიდხანს ვერ გაგრძელდება.

– აღარ ემუქრება საფრთხე იმ 6 ოლქს, სადაც უკვე შეთანხმებული ხართ?

– არა. წესით, ასეთი წინააღმდეგობაც არ უნდა იყოს. რეგიონებში აბსოლუტურად განსხვავებული პოზიციაა. ჩვენ ვაყენებთ თითქმის ყველგან ჩვენს კანდიდატურებს. „ევროპული საქართველოს“ მიდგომაა, რომ ერთმანეთის კანდიდატებს დავუჭიროთ მხარი, მაგრამ ეს ჩვენ არ გვაწყობს.

– ანუ რეგიონებზე ვერ შეთანხმდებით?

– ვერა. ჩვენ გვეყოლება ჩვენი კანდიდატები. შესაძლოა, ერთი-ორი გამონაკლისი დავუშვათ, მაგრამ მათი მხრიდან ამასაც ძალიან სერიოზული დასაბუთება სჭირდება.

გიორგი რურუა: „ჩემი დამცირება მხოლოდ მე შემიძლია“

მის განაჩენს სასამართლო დღეს გამოიტანს

„მთავარი არხის“ ერთ-ერთი მეწილის, ბრალდებულ გიორგი რურუას საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილებას დღეს, 30 ივლისს, გამოაცხადებს.

სხდომა თბილისის საქალაქო სასამართლოში 11:00 საათზე დაიწყება.

გუშინ, 29 ივლისს, სასამართლო პროცესზე დაცვის მხარემ დასკვნითი სიტყვა წარმოთქვა. საბოლოო სიტყვით ისარგებლა თავად ბრალდებულმაც.

რურუამ კიდევ ერთხელ დააფიქსირა პოზიცია, რომ ის თავს დამნაშავედ არ ცნობს და რომ მისი საქმე გაყალბებულია.

გიორგი რურუას ადვოკატის, დიმიტრი საძაგლიშვილის, განცხადებით, სასამართლოს მიერ გიორგი რურუას მიმართ გამოტანილი განაჩენი პოლიტიკური იქნება.

როგორც საძაგლიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, დაცვის მხარეს მოლოდინი აქვს, რომ მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სამართალზე დაფუძნებული არ იქნება.

– არათუ მოლოდინი, არამედ, დარწმუნებული ვარ, რომ მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ იქნება სამართალზე, კანონსა და მის შინაგან რწმენაზე დაფუძნებული. ვინაიდან, როგორც თავდაპირველი პატიმრობის შესახებ გადაწყვეტილება იყო პოლიტიკური, ველოდებით, რომ მისი საბოლოო გადაწყვეტილებაც იქნება პოლიტიკური და არა – სამართლებრივი, – განაცხადა საძაგლიშვილმა.

მისივე თქმით, თუ რურუას მიმართ სასამართლო გამამტყუნებელ განაჩენს გამოიტანს, დაცვის მხარე აღნიშნულ გადაწყვეტილებას გაასაჩივრებს.

– ჩვენ აუცილებლად გავასაჩივრებთ თუ გამამტყუნებელი განაჩენი დადგება, რაც არათუ გამორიცხული არ არის, არამედ მოსალოდნელია. ეს არ ნიშნავს იმას, რომ სააპელაციო სასამართლოში ველოდებით დამოუკიდებელი მოსამართლეების მიერ საქმის განხილვას, მაგრამ, ცხადია, დაცვის ფუნქცია არის ის, რომ გამოვიყენოთ ყველა საშუალება, მიუხედავად იმისა, თუ რა მოლოდინები გვაქვს სასამართლოებთან მიმართებით, – განაცხადა საძაგლიშვილმა.

გიორგი რურუამ სასამართლოზე საბოლოო სიტყვა თქვა.

– თქვენ ის სასამართლო ხართ, რომელსაც წინასწარ გამოტანილი ვერდიქტის დამტკიცება გევალებათ. მეტი სათქმელი არაფერი მაქვს, – განაცხადა მან.

რურუას განმარტებით, ის პოლიტიკური დევნის მაგალითია და მისი საქმე საბჭოთა პროპაგანდის გაგებით გააყალბეს.

– სამწუხაროდ, მეც და სხვა ნებისმიერი მოქალაქე, ვინც ოლიგარქის წინააღმდეგ გამოვდივართ, პოლიტიკური დევნის მაგალითი ვართ. ჩემ წინააღმდეგ გააყალბეს მტკიცებულებები საბჭოთა პროპაგანდის კლასიკური გაგებით, საბჭოთა პრესის ოფიცრების ხელით, რამიშვილსა და მის სამეგობროს ვგულისხმობ.

ჩემი წინასწარ დამნაშავედ გამოცხადება, რომელიც ოლიგარქიული ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირებიდან ვრცელდება, ჩვენს კონსტიტუციას არღვევს და ეწინააღმდეგება მას. ზუსტად ეს არის პოლიტიკური დევნა ოლიგარქის მხრიდან, მიზეზი, თუ რატომ მოვხვდი ხელისუფლების მიზანში, არის „მთავარი არხის“ – დამოუკიდებელი ტელევიზიის აქტივის შეძენა, ასევე ანტისაოკუპაციო მოძრაობის მხარდაჭერა, ასევე მკვეთრად გამოხატული ნეგატიური დამოკიდებულება დღევანდელი მთავრობის მიმართ.

კიდევ ერთხელ გავიმეორებ და ვიტყვი, მე თავს დამნაშავედ არ ვცნობ და ჩემ წინააღმდეგ წამოყენებული ყველა ბრალდება აბსურდულია.

ჩემს გამოსვლას დავამთავრებ სიტყვებით: „არაფერს, რასაც თქვენ აკეთებთ, არ ძალუძს ჩემი დამცირება. ჩემი დამცირება მხოლოდ მე შემიძლია“.

თქვენ ის სასამართლო ხართ, რომელსაც წინასწარ გამოტანილი ვერდიქტის დამტკიცება გევალებათ. მეტი სათქმელი არაფერი მაქვს, – განაცხადა გიორგი რურუამ.

მან საბოლოო სიტყვაში ამერიკელ და ევროპელ მეგობრებს მადლობა გადაუხადა.

ანა ჟღენტი: „ნ.ხ. მოკვლით არავის ემუქრება“

ფეხბურთელ გიორგი შაქარაშვილის საქმეში ფიგურანტი ერთ-ერთი მოწმის, დაზარალებული არასრულწლოვნის ნ.ხ.-ს ადვოკატის, ანა ჟღენტის განცხადებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფის გამოკითხვის ოქმი საზოგადოებაში არასწორი ინტერპრეტაციით გაჟღერდა.

როგორც ადვოკატი განმარტავს, მისი დაცვის ქვეშ მყოფი გამოძიებას არ ატყუებს. მისივე თქმით, ნ.ხ.-ს მიერ ინსტაგრამში ერთ-ერთი პირისთვის მიწერილი ფრაზები, „ამათ დავხოცავ“, „ეს აკვაპარკში დადის და იქ ვნახავ“, ვინმეს მიმართ ფიზიკურ ანგარიშსწორებაზე არ მიუთითებს.

– სამწუხაროდ, სხვანაირი ინტერპრეტაცია მოხდა. მისი გამოკითხვის ოქმიდან ამონარიდები გავრცელდა, ისე იყო დამონტაჟებული, რომ საზოგადოებას აზრი შეექმნა, თითქოს ეს ადამიანი მოკვლით ემუქრებოდა ვინმეს. ეს ფრაზა ფიგურალურად არის ნახსენები, რადგან ამ მიმოწერას მოჰყვება შემდეგი ფრაზა: „ჩემი მაისური თუ არ გაირეცხა, შენ ნახე მერე“. კონტექსტიდან ამოღებული სხვანაირად ჟღერს, რეალურ მიმოწერაში კი სულ სხვა რამ იყო...

ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს გამიზნულად არ აქვს ეს მიმოწერები წაშლილი, მანამდე გოგოებთან სხვა მიმოწერებიც ჰქონდა. მას ჩვევად აქვს, რომ საერთოდ მიმოწერებს შლის. იმ მიმოწერაში კანონსაწინააღმდეგო არაფერია, იქ განზრახულ ანგარიშსწორებაზე არ არის საუბარი, გამოკითხვის ოქმი რომ ნახოთ, იქ მიდის ხუმრობითი სტილი.

ვიღაც ეკითხება, რა მოხდაო. ეს უხსნის, არ ვიცი, ვინ როგორ დამარტყა, რაღაც უსიამოვნება იყოო, ის გამოძიებას არ ატყუებს ნამდვილად. სახელები, გვარები არ იცის, აგრეთვე არის ისეთი მომენტი, როცა საუბარში ახსენებს: „რა რაგბისტები, რის რაგბისტები, საერთოდ არ მინახავს იქ ისინი“. მან საერთოდ არ იცის, ვინ „რაგბისტებზეა“ საუბარი... ნიკა ჟვანიასთან მეგობრობა და ძმაკაცობა შეიძლება არ აკავშირებს, მაგრამ უბნელები არიან.

ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი აგარაკზე, კიბის ეპიზოდში მონაწილეობდა, როგორც კადრებში ჩანს, ის ჩამოდის, ხდება კონფლიქტი და მას ფიზიკურ დაზიანებას აყენებენ, შემდეგ ის მოდის თბილისში და ამით მორჩა მისი ამ ყველაფერში მონაწილეობა, – აცხადებს ჟღენტი.

ლერი სულაბერიძის მანქანის დაცხრილვისთვის ირაკლი ღლონტი დააკავეს

ლერი სულაბერიძე: „არ ვიცი, ვინ მესროდა“

ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი ვიცეპრეზიდენტის, ლერი სულაბერიძის, განცხადებით, მისთვის უცნობია, თუ ვინ ისროდა 28 ივლისს, საღამოს, წყნეთში მისი ავტომობილის მიმართულებით.

როგორც ლერი სულაბერიძემ ჟურნალისტებს პოლიციის განყოფილებაში მისი გამოკითხვის დასრულების შემდეგ განუცხადა, თვითონ ავტომობილით გადაადგილდებოდა, რა დროსაც ისროლეს.



ლერი სულაბერიძის განმარტებით, სავარაუდოდ, მანქანიდან მოხდა გასროლა.

– ფიზიკურად ვერ ვარ ახლა კარგად, რომ დაგელაპარაკოთ. არ ვიცი, ვინ მესროდა. მანქანით ვმოძრაობდი, არავისთან კავშირი არ მქონია. დანარჩენს ჩემი უფლებადამცველი იტყვის, სავარაუდოდ, ხვალ. წარმოდგენა არ მაქვს, ვინ იყო. გამომძიებლებთან, რაც საჭირო იყო, ყველაფერი დავაფიქსირე. სავარაუდოდ, მანქანიდან ისროდნენ, – განაცხადა სულაბერიძემ.

მისი ადვოკატის, ირმა ჭკადუას, თქმით, მომხდართან დაკავშირებით დამატებით დეტალებზე მოგვიანებით ისაუბრებენ.

– ვერაფერს გეტყვით და ვერც ვერაფერს გამოვრიცხავ. დეტალები უნდა გავიაროთ და მოგვიანებით მოგახსენებთ, – განაცხადა ჭკადუამ.

28 ივლისს, საღამოს, წყნეთის გზაზე ავტომობილის მისამართით ისროლეს. მომხდარის შედეგად არავინ დაშავებულა. ავტომობილი ლერი სულაბერიძეს ეკუთვნის.

მოგვიანებით პოლიციამ ამ საქმეზე ირაკლი ღლონტი დააკავა.

ამის შესახებ შსს-ს განცხადებაშია ნათქვამი:

„შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1980 წელს დაბადებული ი.ღ. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით, თბილისში დააკავეს.

დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა 2020 წლის 28 ივლისს ავტომობილიდან რამდენიმე გასროლა განახორციელა სხვა ავტომობილის მიმართულებით, რომელსაც 1968 წელს დაბადებული ლ.ს. მართავდა. მომხდარის შედეგად არავინ დაშავებულა.

დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

საქმეზე დამატებითი მტკიცებულებების მოპოვების მიზნით ტარდება კომპლექსური ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებები.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს“.

ირაკლი ღლონტი ვაკის პოლიციის პირველი განყოფილებიდან წინასწარი დაკავების იზოლატორში უკვე გადაიყვანეს.

ის წარსულში ნასამართლევია. დაკავების დროს „კურიერმა“ შეძლო ბრალდებულთან გასაუბრება.

ირაკლი ღლონტის მამის თქმით, მის შვილს ლერი სულაბერიძესთან კავშირის შესახებ სახლში არაფერი უთქვამს.

დაკავებული ადვოკატის ინფორმაციით, ირაკლი ღლონტი დუმილის უფლებას იყენებს.

– ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი არის დაკავებული. დაკავებული ავტომატურად ითვლება ბრალდებულად, ხოლო რა ქმედებისთვის მოხდება ბრალის წაყენება, ეს დაკავებიდან 48 საათში გაირკვევა, როდესაც ჩაგვბარდება დადგენილება სისხლის სამართლის საქმის დაწყების თაობაზე. დაკავების შემდეგ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი იყენებს დუმილის უფლებას, – განაცხადა ადვოკატმა კახა წერეთელმა.

პოლიციამ ქურდული სამყაროს წევრობის, იარაღისა და ნარკოტიკის შეძენა-შენახვის ბრალდებით 2 პირი დააკავა

სამართალდამცავებმა „ქურდული სამყაროს“ წევრობისთვის წარსულში ნასამართლევი ორი „კრიმინალური ავტორიტეტი“ დააკავა.

როგორც შსს-ში 29 ივლისს გამართულ ბრიფინგზე ცენტრალური კრიმინალური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე გიორგი ლილუაშვილმა განაცხადა, მათ ბრალად ქურდული სამყაროს წევრობა, ცეცხლსასროლი იარაღისა და ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვა ედებათ.

მისივე ინფორმაციით, დაკავებულთაგან ერთ-ერთი საზღვარგარეთ მყოფი ე.წ. კანონიერი ქურდის ძმაა.

დანაშაულები 7-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ „კრიმინალური ავტორიტეტები“ და „ქურდული სამყაროს“ წევრები ლ.ბ. და კ.კ. „კანონიერი ქურდების“ მითითებებს ასრულებდნენ. მათ შორის, ფიზიკური ანგარიშსწორებით, მუქარითა და „ქურდული გარჩევის“ გზით, „კანონიერი ქურდების“ დავალებით, მოქალაქეებსა და მეწარმეებს თანხებს სძალავდნენ და ე.წ. ქურდულ საერთოს ავსებდნენ.

პოლიციამ ლ.ბ.-ის დროებითი საცხოვრებელი ბინიდან ნივთმტკიცებად ამოიღო „მაკაროვის“ სისტემის ცეცხლსასროლი პისტოლეტი და 8 საბრძოლო ვაზნა, კ.კ.-ის პირადი ჩხრეკისას კი ამოღებულ იქნა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“.

გამოძიება „ქურდული სამყაროს“ წევრობის, ცეცხლსასროლი იარაღისა და ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტებზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით, 236-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 260-ე მუხლის მე-3 ნაწილით მიმდინარეობს“, – აცხადებენ უწყებაში.

პოლიციელ ლადო ფრიდონაშვილს პატიმრობა შეეფარდა

პოლიციელ ლადო ფრიდონაშვილს, რომელიც ნასვამ მდგომარეობაში ქვეითად მოსიარულე არასრულწლოვანს ავტომანქანით დაეჯახა, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება გორის რაიონულმა სასამართლომ მიიღო.

ავტოსაგზაო შემთხვევა რამდენიმე დღის წინ სოფელ არაგვისპირთან მოხდა, რის შედეგადაც არასრულწლოვანი გარდაიცვალა. აღნიშნულთან დაკავშირებით სამართალდამცავებმა პოლიციელი დააკავეს.

პროკურატურის ინფორმაციით, 2020 წლის 26 ივლისს შინაგან საქმეთა სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის დუშეთის რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებელი, ნასვამ მდგომარეობაში მყოფი ვ.ფ., მისი მართვის ქვეშ მყოფი ავტომობილით სტეფანწმინდის მიმართულებით მოძრაობდა. სოფელ არაგვისპირთან ვ.ფ. შეეჯახა ქვეითად მოსიარულე, არასრულწლოვან ლ.ზ.-ს, რომელიც საავადმყოფოში მიყვანისას გარდაიცვალა.

მარნეულში ა.ო.-მ არასრულწლოვანი გოგონა გააუპატიურა



დაკავებულია 3 პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის მარნეულის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მარნეულის მუნიციპალიტეტში 3 პირი დააკავეს. მოსამართლის განჩინების საფუძველზე დაკავებულ, 1995 წელს დაბადებულ ა.ო.-ს არასრულწლოვნისთვის ჯგუფურად თავისუფლების უკანონო აღკვეთა და გაუპატიურება ედება ბრალად, ხოლო 1998 წელს დაბადებული ა.ო. და 1988 წელს დაბადებული ა.გ. არასრულწლოვნისთვის ჯგუფურად თავისუფლების უკანონო აღკვეთაში არიან ბრალდებულნი.

დანაშაულები 7-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა მარნეულის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში მცხოვრებ, 2005 წელს დაბადებულ ფ.ა.-ს, ქორწინების მოტივით, წინასწარი შეთანხმებით თავისუფლება უკანონოდ აღუკვეთეს და მათი ახლობლის სახლში მიიყვანეს, სადაც ა.ო.-მ არასრულწლოვანი გოგონა გააუპატიურა.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სამივე ბრალდებული გამოძიების დაწყებიდან მეორე დღეს დააკავეს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით, ასევე, 137-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილ თავისუფლების უკანონო აღკვეთასა და წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის გაუპატიურებას გულისხმობს.

საერთაშორისო

აშშ გერმანიიდან 12.000 ჯარისკაცს გაიყვანს

მათი ნაწილი კვლავ ევროპაში დარჩება

აშშ გერმანიიდან 12.000-მდე ჯარისკაცს გაიყვანს.

ამის შესახებ პენტაგონში გამართულ ბრიფინგზე ამერიკის თავდაცვის მინისტრმა მარკ ესპერმა განაცხადა და საზოგადოებას ევროპაში ამერიკის ჯარების გადანაწილების გეგმა გააცნო.

– აშშ-ის შეიარაღებული ძალების ევროპული სარდლობის ამჟამინდელი გეგმის თანახმად, დაახლოებით 11.900 შეიარაღებული ჯარისკაცი გადანაწილდება გერმანიიდან, რაც ნიშნავს 36.000 ჯარისკაცის 24.000-მდე შემცირებას იმგვარად, რომ გაძლიერდეს ნატო, გაიზარდოს რუსეთის შეკავება და შესრულდეს ჩემ მიერ წამოყენებული სხვა პრინციპები.

ამ 11.900 ჯარისკაციდან დაახლოებით 5.600 სამხედრო მოსამსახურე გადანაწილდება ნატო-ს წევრ ქვეყნებს შორის, ხოლო 6.400 ჯარისკაცი აშშ-ში დაბრუნდება.

ამ დანაყოფების უმეტესობა ან მსგავსი დანაყოფები დაიწყებენ როტაციულ განლაგებას ისევ ევროპის შიგნით, – განაცხადა ესპერმა.

ივნისში ცნობილი გახდა, რომ აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი გერმანიიდან 9.500 ამერიკელი ჯარისკაცის გაყვანას აპირებდა. დონალდ ტრამპი გერმანიას საყვედურობს, რომ თავდაცვის სფეროს დაფინანსების შესახებ ნატო-ს მოთხოვნას არ ასრულებს.

ბელარუსში რუსული კერძო სამხედრო კომპანიის 32 წევრი დააკავეს

ბელარუსმა სამართალდამცავებმა რუსული კერძო სამხედრო კომპანია „ვაგნერის“ 32 წევრი დააკავეს.

ამის შესახებ ინფორმაციას ადგილობრივი მედია ავრცელებს.

სამართალდამცველი ორგანოების განცხადებით, მათ მიიღეს ინფორმაცია ქვეყნის ტერიტორიაზე 200-ზე მეტი მებრძოლის წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში დესტაბილიზაციის შექმნის მიზნით შესვლის შესახებ.

გავრცელებული ინფორმაციით, თითოეული მათგანი აღჭურვილი იყო ხელბარგითა და სამ-სამი მძიმე ჩემოდნით.

გამოძიების ინფორმაციით, ჯგუფი 25 ივლისს ერთ-ერთ სასტუმროში განთავსდა, ორი დღის შემდეგ კი ლოკაცია შეიცვალა.

ბელარუსში საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება 9 აგვისტოსთვის არის დაგეგმილი.

ინგუშეთში როსგვარდიის ოფიცერი მოკლეს

ინგუშეთში თავს დაესხნენ როსგვარდიის ოფიცერ მიხეილ ალიევს. უცნობმა პირებმა დაცხრილეს მანქანა, რომელშიც ალიევი და მისი მეგობარი გოგონა ისხდნენ.



ალიევი სასიკვდილოდ დაიჭრა. თავდამსხმელები მიიმალნენ.

მომხდარის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ქალმა თხისთვის მამობაზე ტესტის აღება მოითხოვა

ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ ოდესის მკვიდრმა ქალმა მეზობლის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა და მისი თხისთვის მამობაზე ანალიზის ჩატარება მოითხოვა.

კრის ჰედსტრიომმა თავის მეზობლის ხიზერ დეინერისგან ნიგერიული ჯუჯა თხის ხუთი ციკანი 900 დოლარად შეიძინა.

მოგვიანებით ხიზერს ეჭვი გაუჩნდა, რომ მისი ციკნები ბელა, გიგი, როზი, ზელდა და მარგოატი, შესაძლოა, ამერიკის მერძევე თხების ასოციაციაში დარეგისტრირებული არ ყოფილიყვნენ. აღსანიშნავია, რომ დარეგისტრირებული თხები გაცილებით ძვირად ფასობს, ვიდრე დაურეგისტრირებელი. მამა თხა დარეგისტრირებული აღმოჩნდა, ხოლო მისი ნაშიერები – არა.

ჰედსტრიომი თხის მამობაზე ტესტის ჩატარებას მოითხოვს. დეინერმა, თუკი ის ციკნებს დააბრუნებდა, თანხის ანაზღაურება შესთავაზა, მაგრამ ქალმა ამაზე უარი განაცხადა.

კურიერებმა მანქანა ასწიეს და ბორბლებქვეშ მოყოლილი ველოსიპედისტი გადაარჩინეს

ჩინეთის ჩუეცზიანის პროვინციის ქალაქ ხანჩჟოუში კურიერების ჯგუფმა ასწია და გადაიტანა ავტომობილი, რომელიც ველოსიპედისტს დაეჯახა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ინდურმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ავტომობილი დაეჯახა ქალს, რომელიც ველოსიპედით გადაადგილდებოდა. ინციდენტი ერთდროულად რამდენიმე სათვალთვალო კამერამ დააფიქსირა. ვიდეოჩანაწერში ჩანს, თუ როგორ მისცვივდა დაშავებულს დასახმარებლად რამდენიმე ათეული კურიერი.

მათ მანქანა ჰაერში ასწიეს და გადადგეს. ამ ყველაფერს სულ 11 წამი დასჭირდა. უცნობი დარჩა, თუ რამდენად სერიოზული დაზიანებები მიიღო ველოსიპედისტმა ქალმა.

ლომების, სპილოებისა და ბეჰემოთების შეტაკება ვიდეოზე გადაიღეს

სამხრეთ აფრიკის კრიუგერის ეროვნულ პარკში ტურისტები ოთხი ლომის სამსაათიანი დაპირისპირების თვითმხილველები გახდნენ, რომელშიც ჩარევა სპილოებმა და ბეჰემოთებმა ცადეს. ამის ამსახველი ვიდეო იუთუბიზე, პარკის არხზე იქნა განთავსებული.

27 წლის სტეინ იაკობსონის თქმით, რომელმაც ეს ყოველივე ვიდეოზე გადაიღო, თავდაპირველად მან და მისმა თანამგზავრებმა სამი ლომი შენიშნეს, რომლებიც რაღაცას ყნოსავდნენ. მან მაშინვე ივარაუდა, რომ ისინი მეტოქეს ეძებდნენ, რომელმაც მათ ტერიტორიაზე შეაღწია.

ასეც აღმოჩნდა. მალე ტურისტებმა შენიშნეს, თუ როგორ დაედევნა სამი ლომი მეოთხე ახალგაზრდა ლომს. დევნის დროს მტაცებლებმა სპილოების ჯოგში გაიარეს. სპილოები მათ გამოეკიდნენ და აიძულეს, დაფანტულიყვნენ.

თუმცა სიმშვიდე ხანმოკლე აღმოჩნდა. ხუთი წუთის შემდეგ ლომების დაპირისპირება გაგრძელდა. მტაცებლებს შორის შეტაკება დაახლოებით სამ საათს გაგრძელდა. სპილოებმა და ბეჰემოთებმა არაერთხელ ცადეს მათი იქიდან განდევნა, მაგრამ ლომები კვლავ ბრუნდებოდნენ.

დაქანცული და დაჭრილი ახალგაზრდა ლომი მთელი ძალით ცდილობდა მოწინააღმდეგეებისგან თავის დაცვას, თუმცა უპირატესობა თავდამსხმელების მხარეს იყო. საბოლოოდ მათ თანამოძმეს ხერხემალი გადაუმტვრიეს და მომაკვდავი დატოვეს, მათი წასვლის შემდეგ კი იქაურობა ლეშიჭამიებით გაივსო.

ინდოეთში უიშვიათესი ყვითელი კუ აღმოაჩინეს

ინდოეთის ოდიშას შტატში უიშვიათესი ყვითელი კუ აღმოაჩინეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

უჩვეულო ცხოველმა ქალაქ ბალასორის მახლობლად მდებარე სოფლის მცხოვრებთა ყურადღება მიიპყრო. მათ სატყეო მეურნეობის წარმომადგენლები გამოიძახეს და კუ გადასცეს.

ადგილზე მისულმა მეტყევე ბხანომიტრა აჩარიამ განაცხადა, რომ მსგავსი კუ თავის ცხოვრებაში ნანახი არ ჰყოლია.

– მისი მთელი სხეული და ბაკანი ერთიანად ყვითელი ფერისაა. ეს უიშვიათესი მოვლენაა, – აღნიშნა მეტყევემ.

– სავარაუდოდ, ის ალბინოსია, – ივარაუდა სატყეო სამსახურის მეორე თანამშრომელმა სუსანტა ნანდამ ტვიტერში საკუთარ გვერდზე. ის ფიქრობს, რომ მის ჰიპოთეზას კუს თვალები ადასტურებს და იქვე დაამატა, რომ მსგავსი არსება რამდენიმე წლის წინ პაკისტანის პროვინცია სინდში ნახეს.

ქალს 64 წელი თმა არ შეუჭრია

ვიეტნამელ ქალბატონს 64 წლის განმავლობაში თმა არც შეუჭრია და არც დაუბანია.

83 წლის ნგუიენ ტხი დინკმა პირველად თმა 19 წლის ასაკში შეიჭრა. მას შემდეგ ქალს თავის ძლიერი ტკივილები ტანჯავდა. მშობლებმა ის ექიმთან მიიყვანეს, მაგრამ, მიუხედავად მკურნალობისა, ტკივილები არ გაჰყუჩებია.

მას შემდეგ დინკს თმა აღარასოდეს შეუჭრია და არც შამპუნით დაუბანია. ამჟამად მისი თმის სიგრძე ექვს მეტრს აღწევს.

ქალი საფულის ამოსაღებად ალიგატორების ვოლიერში შევიდა

ამერიკის მინესოტის შტატის ქალაქ ბრეინერდში ქალი საფარი-პარკში ალიგატორების ვოლიერში შევიდა, რათა დაკარგული საფულე მოეძებნა.

ზოოპარკის დამთვალიერებელმა ეშლინ მორისმა მომხდარი ვიდეოზე გადაიღო და შემდეგ ფეისბუქში განათავსა.

– დღეს ზოოპარკში ვიყავი. ქალს საფულე ალიგატორების ვოლიერში გადაუვარდა. ის მტაცებლებთან ვოლიერში საფულის გამოსატანად თავის ბავშვთან ერთად შევიდა. ამ დროს ქალი თავის ბავშვს უყვიროდა. მოკლედ, სრული სიგიჟე იყო. ასეთი რამ არასოდეს მინახავს, – დაწერა კომენტარში მორისმა.

ვიდეოჩანაწერში ჩანს, როგორ შედის ქალი ვოლიერში, რომლის გუბურაში ათამდე რეპტილია იმყოფება და ცდილობს მოიფიქროს, როგორ ამოიღოს წყლიდან თავისი საფულე. ამ დროს მის გვერდით მისი შვილი იმყოფება. ერთ მომენტში ბიჭი წყალსატევის ნაპირთან მიდის. მართალია, ვოლიერში ახალგაზრდა ალიგატორები იმყოფებოდნენ, თუმცა დედა-შვილისთვის ისინიც საკმაოდ დიდ საფრთხეს წარმოადგენდნენ.

ერთ მომენტში ვიდეოჩანაწერში ისმის, თუ როგორ აფრთხილებენ პატარა ბიჭს თვითმხილველები, რომ თუ წყალთან უფრო ახლოს მივა, შეიძლება, ალიგატორებმა უკბინონ. საბოლოოდ ქალმა საფულის წყლიდან ამოღება მაინც მოახერხა, ამისთვის კი მათ დასაფრთხობად ქვების სროლა დასჭირდა.

ამის შემდეგ ქალი ბავშვთან ერთად ვოლიერის ღობეზე გადაძვრა და ვოლიერში მასთან ერთად შესვლის გამო ბავშვს ჩხუბი დაუწყო.

საფარი-პარკის ხელმძღვანელობამ მომხდარის შესახებ მხოლოდ მას შემდეგ შეიტყო, რაც სოციალურ ქსელში ვიდეომ დიდი პოპულარობა მოიპოვა. ზოოპარკის წარმომადგენლების თქმით, ისინი მომხდარის გამო შეშფოთებულნი არიან და, თუ ქალის ვინაობის დადგენა მოახერხეს, ბავშვის სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებისთვის მისი პასუხისმგებლობის საკითხს დააყენებენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საზოგადოება

ქეთევან კიკნაძე: „თბილისი დაამსგავსეს ბინძურ ლამაზმანს“

მსახიობი ქეთევან კიკნაძე ძველ თბილისში პაოლო იაშვილის ქუჩაზე ცხოვრობს და უკვე წლებია, შესაბამისი უწყებებისგან ყურადღების მიქცევას ითხოვს. უყურადღებობამ კი მის ეზოში 11-მეტრიანი კედლის ნგრევა გამოიწვია. საბედნიეროდ, მსხვერპლი არ არის:

– 10 წელია, ვიბრძვი, ხმა მივაწვდინო ვინმე ოფიციალურ პირს, რა დღეში ვართ იაშვილის 7 ნომერში მცხოვრებნი. დაინგრა 11-მეტრიანი კედელი ეზოსი, ტერასა, რომელზეც აშენებულია ვიღაცის ჩეჩმა, საიდანაც გადმოედინება კანალიზაციის წყალი 7 ნომრის ეზოში. სად არ ვრეკავდით და ვატყობინებდით, რომ კედელი ინგრევა. ყურადღება არავინ მოგვაქცია, ბოლო-ბოლო, დაინგრა და, კიდევ კარგი, ეს მოხდა ღამით, თორემ ამას მოჰყვებოდა მსხვერპლი.

აი, ასე ზრუნავენ ხალხზე, მის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეზე. სტალინთან ახერხებდნენ შესვლასა და ხმის მიწვდენას. ამათ არ ეკადრებათ, ტელეფონს არ უპასუხებენ. იქნებ მას აფეთქებენ და მინდა, შევატყობინო. არ არსებობს.

არ ვიცი, სახლში რა მდგომარეობაა, ვერ შევდივართ, ვინაიდან, სადარბაზოს კარი ისე გვაქვს ჩაკეტილი, მას ვერავინ გააღებს.

თბილისი დაამსგავსეს ბინძურ ლამაზმანს, რომელიც მხოლოდ პომადას ისვამს და გარეგნულად ლამაზად გამოიყურება.

მესხეთის თეატრი სპექტაკლს ღია ცის ქვეშ ითამაშებს

მესხეთის თეატრი რეჟისორ კახა გოგიძის მიერ დადგმულ სპექტაკლს „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“ ღია ცის ქვეშ ითამაშებს.

კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის დადგენილების თანახმად, მესხეთის თეატრი სპექტაკლს 31 ივლისს თეატრის ეზოში უსაფრთხოების ყველა წესის დაცვით ითამაშებს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

კალეიდოსკოპი

მაიმუნებმა სახლის კედელი დაანგრიეს, რასაც ქალი და მისი ოთხი შვილი ემსხვერპლნენ

ინდოეთის ქალაქ შახჯახანპურში გარეულმა მაიმუნებმა საცხოვრებელი სახლის კედელი მოარღვიეს, რაც ქალისა და მისი ოთხი შვილის დაღუპვით დასრულდა.

ხუთშაბათ საღამოს 45 წლის შაბნამის ვენტილატორი გაუფუჭდა. ამის გამო ქალმა და მისმა ექვსმა შვილმა გადაწყვიტეს, სიცხის გამო გარეთ დაეძინათ.

მეორე დილით კი მძინარე ოჯახს მოულოდნელად მათი სახლის აგურის კედელი თავზე დაემხო. მან ქვეშ მოიყოლა დედა და მისი ოთხი შვილი. მომხდარში დამნაშავეები მაიმუნები აღმოჩნდნენ, რომლებიც ეზოში მდგომმა ხე გუავიმ მიიზიდა. ისინი იმისთვის, რომ ნაყოფს მისწვდომოდნენ, კედელს არყევდნენ, რამაც საბოლოოდ მისი დანგრევა გამოიწვია.

ადგილობრივი პოლიციის ცნობით, ქალის კიდევ ორმა შვილმა მსუბუქი დაზიანებები მიიღო. მათ უფასო სამედიცინო დახმარება გაეწიათ და მალე ფულად კომპენსაციასაც მიიღებენ 400 ათასი რუპიის ოდენობით.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ვმკურნალობ კარგი შედეგით სქესობრივ სისუსტესა და უძლურებას. მკურნალობაში ვიყენებ თანამედროვე საშუალებებს, ასევე სათანადო აპარატურასა და „ერექტორებს“, რომლის საშუალებითაც უძლურ მამაკაცსაც შეუძლია ჩაატაროს სრულიად ნორმალური სქესობრივი კავშირი, რომელიც არ შეიგრძნობა, არ არის მავნე, უტყუარია გამოყენებისას და შეტანილია სექსოლოგიის, ასევე უროლოგიის სახელმძღვანელოებში. ტელ: 299-95-33; 593-60-60-44 იკითხეთ ექიმი მერაბი.

საქართველო შოტლანდიაში მიიწვიეს

საქართველოს მორაგბეთა ნაკრების ირგვლივ რამდენიმე სიახლეა. როგორც იცით, ჩვენს ეროვნულ გუნდს ექსპერიმენტულ 8 ერში არ დაუძახეს, მაგრამ ამ ტურნირის ერთ-ერთ წარმომადგენელთან ტესტ-მატჩი ექნება.

შოტლანდიის რაგბის კავშირი საქართველოს ნაკრებს ეპატიჟება. შოტლანდიელებს უელსთან 6 ერის გადადებული მატჩი აქვთ ჩასატარებელი, რომელიც, დიდი ალბათობით, ლონდონში 31 ოქტომბერს შედგება. ჰოდა, მანამდე მოსამზადებელი შეხვედრა ქართველებთან უნდათ.

თუ თანხმობა იქნა და, ალბათ, ჩვენი მხარე უარს არ იტყვის, მატჩი სქოთებთან 24 ოქტომბერს ედინბურგში, „მარიფილდზე“ გაიმართება. დაუშვებენ თუ არა მაყურებელს, ჯერ გაურკვეველია.

შეგახსენებთ, რომ „ბორჯღალოსნებმა“ 2019 წლის მსოფლიოს თასის წინ 2 მატჩი ითამაშა შოტლანდიასთან. მეტიც, შოტლანდიის ნაკრები პირველი გუნდი გახდა 6 ერიდან, რომელიც თბილისში გვესტუმრა. მატჩი სქოთებმა 44:10 მოიგეს, ერთი კვირის შემდეგ კი ზემოთ ნახსენებ „მარიფილდზე“ 36:9 იმარჯვეს. ცხადია, გრეგორ თაუნსენდის გუნდი მომავალ დაპირისპირებაშიც ფავორიტი იქნება.

– მიუხედავად იმისა, რომ შოტლანდია ამ მატჩში ფავორიტია, საქართველოსთან თამაში ნაკრებისთვის იდეალური ტესტი იქნება უელსთან დაპირისპირების წინ, – წერს ბრიტანული მედია.

მედია იმასაც წერს, რომ ზემოთ ხსენებული შეხვედრა რაიმე მიზეზის გამო თუ არ შედგება, „ნარშავები“ იმავე დღეს სხვა მეტოქესთან მაინც ითამაშებენ, უელსთან მატჩიდან ერთ კვირას დაისვენებენ, შემდეგ კი 8– გუნდიან ტურნირში დაიწყებენ ასპარეზობას.

შოტლანდიასთან მატჩის შემდეგ საქართველოს ნაკრები, დიდი ალბათობით, თბილისში რუსეთის ნაკრებს რაგბი ევროპის გადადებულ მატჩში შეხვდება. შეგახსენებთ, რომ „ბორჯღალოსნებს“ უკვე განაღდებული აქვთ ჩემპიონის ტიტული ამ ტურნირში.

თუმცა, შესაძლოა, შემოდგომაზე ყველაფერი ამით არც დასრულდეს. საქართველოს ნაკრებს 7 ნოემბერს სენტ ეტიენში საფრანგეთთან უნდა ეთამაშა. ეს შეხვედრა საფრანგეთის რაგბის ფედერაციის ვებგვერდზე ისევ იგეგმება და არც ოფიციალურად გაუუქმებიათ.

ფრანგებს შემოდგომაზე 6-მატჩიანი ფანჯარა ექნებათ. გუნდმა უნდა დაასრულოს 6 ერი ირლანდიასთან საშინაო მატჩით (სავარაუდოდ, 31 ოქტომბერს). ამას დავუმატოთ 4 მატჩი ექსპერიმენტულ ტურნირზე. ესეც 5 მატჩი და დარჩა – 1. გამოდის, რომ 7 ნოემბერს ფრანგები თამაშს მაინც აპირებენ.

თუმცა ეს ყველაფერი მსოფლიო რაგბის საბჭოზე 30 ივლისს უნდა დამტკიცდეს, შემდეგ 6 ერის ორგანიზაციამ გამოაცხადოს, ხოლო მთავარია, კორონავირუსმა შეუწყოს ხელი, რომ სარაგბო მატჩები ისევ არ ჩაიშალოს.

არადა, ქართულმა რაგბიმ წლეულს, კორონავირუსის გამო, დიდი დარტყმა მაშინ მიიღო, როცა სამხრეთ აფრიკაში ივლისის ტურნე გაუქმდა. არადა, დასკვნითი მატჩი მსოფლიოს თასის გამარჯვებულ სამხრეთ აფრიკის ნაკრებთან იყო დაგეგმილი, ნოემბერში კი თბილისს ფიჯისთან უნდა ემასპინძლა, მაგრამ 21 ნოემბერს ფიჯის ნაკრებს საქართველოსთვის აღარ ეცლება, რადგან ექსპერიმენტულ 6 ერზე ითამაშებს. ასევე თბილისში 14 ნოემბერს აშშ-ის ნაკრები უნდა ჩამოსულიყო, მაგრამ არც ამ შეხვედრის მომავალია ნათელი...

ბასილაშვილი ნიუ იორკში დარეგისტრირდა

ქართველ ჩოგბურთელ ნიკოლოზ ბასილაშვილს ვაშინგტონში გასამართი ტურნირი კი ჩაეშალა, მაგრამ ნიუ იორკში დაგეგმილ მასტერსზე დარეგისტრირდა. ადრე ეს ტურნირი ცინცინატიში იმართებოდა ხოლმე, ამჯერად კი მას ნიუ იორკი უმასპინძლებს.

ტურნირი 22-28 აგვისტოს გახლავთ დაგეგმილი და, წესით, ნიუ იორკშივე აშშ-ის ღია პირველობა უნდა მიჰყვეს.

აღსანიშნავია, რომ ტურნირს მსოფლიო რეიტინგის თავში მყოფი 40 ჩოგბურთელიდან მხოლოდ 4 დააკლდება: როჯერ ფედერერი, სტენ ვავრინკა (ორივე შვეიცარია), გაელ მონფილსი (საფრანგეთი) და ფაბიო ფონინი (იტალია).

ბასილაშვილმა ამავე ტურნირზე შარშანაც ითამაშა, მაგრამ პირველივე წრეში ანდრეი რუბლიოვთან 7:6, 4:6, 2:6 წააგო, ტურნირი კი დანილ მედვედევმა მოიგო, რომელმაც ფინალში დავიდ გოფინს აჯობა.

ნიუ იორკის ტურნირი 1.000-იანია და მისი საპრიზო ფონდი 5 მილიონი დოლარია.

შეგახსენებთ, რომ ბასილაშვილს ატპ-ს რეიტინგში 1.395 ქულით 27-ე ადგილი უკავია, ნიუ იორკის მასტერსზე კი 24-ე განთესვა ექნება.

იტალიაში რეგლამენტის ცვლილებებზე მუშაობენ

ნაპოლის პრეზიდენტი აურელიო დე ლაურენტისი აცხადებს, რომ იტალიის ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად სერია ა-ში ფლეი ოფის სისტემის დანერგვაზე მუშაობს.

აურელიო დე ლაურენტისი:

– ფედერაციის წარმომადგენლებთან ერთად სერია ა-ში ფლეი ოფისა და ფლეი აუტის სისტემების შემოღებაზე ვმუშაობთ, რათა თავიდან ავირიდოთ ის მავნე თანმიმდევრულობა, რაც ჩემპიონატში ბოლო 9 წლის განმავლობაში ხდება.

დე ლაურენტისმა „მავნე თანმიმდევრულობაში“, დიდწილად, იუვენტუსის დომინაცია იგულისხმა. ტურინელებმა იტალიის ყველა დროის რეკორდი დაამყარეს – ისინი ქვეყნის ჩემპიონის წოდებას ზედიზედ უკვე 3.000 დღეზე მეტია, ატარებენ. იტალიური მედია ხსენებული სისტემების შესაძლო ფორმატზე წერს და გვამცნობს, რომ რეგულარული სეზონის დასრულების შემდეგ 8 გუნდი გამოიყოფა და ჩემპიონთა ლიგასა და ევროპა ლიგაზე გამსვლელი გუნდები სწორედ მათ შორის გაირკვევა. სერია ა-ს ქვედა და სერია ბ-ს ზედა ადგილებზე გასულ გუნდებს შორის კი უმაღლეს ლიგაში დასარჩენ-დასაწინაურებელი სისტემაც შევა ძალაში.

აღნიშნული პროექტი დე ლაურენტისმა და მისმა წარმომადგენლებმა ფედერაციას რამდენიმე თვის წინ წარუდგინეს და მხარეები ამჟამად მისი დადებით-უარყოფითი მახასიათებლების შესახებ მსჯელობენ.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა, რაშიც ლამარა თოდუას ნაყენები დაგეხმარებათ. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.

ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება

ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

მესის მამამ მილანში სახლი იყიდა

რამდენიმე დღის წინ ითქვა, რომ მილანის ინტერს ბარსელონის მთავარი ვარსკვლავის, ლეო მესის გადაბირება სურდა, მაგრამ, იმასაც ხვდებოდნენ, რომ ეს მცდელობა უშედეგო იქნებოდა.

მილანელთა მთავარ მწვრთნელ ანტონიო კონტეს მესის ინტერში შესაძლო ტრანსფერზე კიდევ ერთხელ ჰკითხეს, რასაც უპასუხა, ვფიქრობ, მესის გადმოყვანის ორივე სცენარი საკმაოდ არარეალურიაო.

რაც შეეხება ნახსენებ 2 სცენარს: პირველი ის არის, რომ „შავ-ლურჯები“ არგენტინელის შესაძენად პირდაპირ თანხას გამოიყენებენ, ხოლო მეორე – ბარსელონას დაუთმობენ 4 ისეთ ფეხბურთელს, რომელთა ფასიც 50 მილიონი ევროა.

როგორც ხედავთ, ამის თავად იტალიელებს არ სჯეროდათ, მაგრამ, ისეთი რამ მოხდა, რამაც, შესაძლოა, მილანელთა ოცნება რეალობად აქციოს.

საქმე ის არის, რომ მესის მამამ მილანში სახლი იყიდა და ინტერის შტაბ-ბინიდან არც ისე შორს.

ინტერის ყოფილი მფლობელი და პრეზიდენტი მასიმო მორატი ნახევრად ხუმრობით იმედს გამოთქვამს, მამასთან სტუმრობისას მესიმ იქნებ ინტერთან კონტრაქტის ხელმოსაწერადაც შეირბინოს.

აქამდე გავრცელებული ინფორმაციით, ინტერს მესის დიდი ხელფასი არ ადარდებს და მზად არის, არგენტინელს წლიურად 50 მილიონი ევრო გადაუხადოს.

ლეოს გუნდში მისვლა კლუბში ახალი სპონსორების მიზიდვას გამოიწვევს და სხვადასხვა მარკეტინგული ხერხის გამოყენებით ინტერიც დიდ ხეირს ნახავს.

იტალიის საზოგადოებრივმა არხმა 24 ივლისს გაავრცელა ცნობა, რომ მესის მამა ხორხე აგვისტოში მილანში ჩასვლასა და იქ დაბინავებას გეგმავდა, რათა ინტერთან პოტენციურ ტრანსფერზე მოლაპარაკებები გაემართა. ეს კი ვადაზე ადრე მოხდა.

ამ ინფორმაციას სხვა იტალიური მედიასაშუალებებიც ადასტურებდნენ და ერთ-ერთ არგუმენტად მოჰყავთ ის, რომ ესპანეთთან შედარებით იტალიაში დაბალი გადასახადებია. გვახსოვს, რომ არგენტინელ სუპერვარსკვლავს ამ მხრივ სერიოზული პრობლემები ჰქონდა.

ლიონელ მესის ბარსელონასთან შრომითი ხელშეკრულება 2021 წლის 30 ივნისამდე აკავშირებს და საუბარია მის გაგრძელებაზე.

ფეხბურთი

28 ივლისი

ფეხბურთი

იტალია. სერია ა

პარმა-ატალანტა 1:2

ინტერი-ნაპოლი 2:0

საატურნირო ცხრილი:

1.იუვენტუსი	36	26	5	5	75-38	83
2.ინტერი	37	23	10	4	79-36	79
3.ატალანტა	37	23	9	5	98-46	78
4.ლაციო	36	23	6	7	76-39	75
5.რომა	36	19	7	10	71-48	64
6.მილანი	36	17	9	10	56-45	60
7.ნაპოლი	37	17	8	12	58-49	59
8.სასუოლო	36	13	9	14	64-62	48
9.ვერონა	36	11	13	12	44-48	46
10.პარმა	37	13	7	17	52-54	46
11.ბოლონია	36	12	10	14	51-60	46
12.ფიორენტინა	36	10	13	13	44-47	43
13.კალიარი	36	10	12	14	50-53	42
14.უდინეზე	36	11	9	16	35-49	42
15.სამპდორია	36	12	5	19	46-60	41
16.ტორინო	36	11	6	19	43-64	39
17.ჯენოა	36	9	9	18	44-68	36
18.ლეჩე	36	8	8	20	47-80	32
19.ბრეშა	36	6	6	24	34-76	24
20.სპალი	36	5	5	26	26-71	20

შვეიცარია. სუპერლიგა

ციურიხი-სიონი 0:2

მოამზადა მანუელ ჟორჟოლიანმა

კალეიდოსკოპი

ნიანგმა ტბაში მობანავე ცხრა წლის ბიჭი დაგლიჯა

ტანზანიის მვანზას რეგიონში ნიანგმა დაგლიჯა ბავშვი, რომელიც მეგობრებთან ერთად ტბაში ბანაობდა.

შაბათ საღამოს ცხრა წლის ჯუმა ფალუ მეგობრებთან ერთად ტბა ვიქტორიაში ბანაობდა, როდესაც მას თავს ნიანგი დაესხა.

ადგილობრივმა მეთევზეებმა ხელისუფლებას აცნობეს, რომ დაინახეს, თუ როგორ ამოცურა ტბის ზედაპირზე ნიანგმა, რომელსაც ყბებში დაღუპული ბავშვის ცხედარი ეჭირა.

ჯუმა ფალუს სხეულის ნარჩენები დღემდე არაა ნაპოვნი.

– დღეს მესამე დღეა და ჩვენ ძებნას ვაგრძელებთ. ვფიქრობთ, რომ ბავშვის ცხედარს ხვალისთვის მივაგნებთ, – განაცხადა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. გამკილავი შინაარსის სახელდახელოდ თქმული ლექსი; 2. რძის პროდუქტი; 3. ტურისტთა კაპიუშონიანი ქურთუკი; 4. საცხენოსნო შეჯიბრება; 5. რეზინის სპორტული ფეხსაცმელი; 6. უდაბნო ჩილეში; 9. ქართველი მკლავმჭიდელი, მსოფლიო ჩემპიონი; 10. დუქნების, სასადილოების რიგი ძველ თბილისში; 11. შემინული აივანი; 14. პოეტური ქმნილება; 16. დეტექტიური ჟანრის ამერიკელი მწერალი; 18. კავკასიაში გავრცელებული კლდის თხა; 20. ცნობილი ფრანგი მეტალურგი; 23. ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაცია; 24. ამერიკული საავტომობილო კონცერნი; 25. ჩარხზე დასამაგრებელი მრავალსაჭრისიანი სახარატო იარაღი; 26. მაღალყელიანი რეზინის ფეხსაცმელი.

თარაზულად: 7. ადამიანის ყოფიერების ზოგადი კანონების შემსწავლელი ფილოსოფიის ნაწილი; 8. ბუნებრივი ნაკრძალის სახელწოდება ზოგიერთ ქვეყანაში; 12. რიტმული სვლა მწყობრი ნაბიჯით; 13. სქელი ქაღალდი; 15. ალ.ყაზბეგის მოთხრობა; 17. ჯალათის სახელწოდება ძველად საქართველოში; 19. ქვებზე, ხეებზე მზარდი უფესვო სპოროვანი მცენარე; 21. ფინური აბანო; 22. მდინარე გერმანია-პოლონეთის საზღვარზე; 27. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 28. მაღალი კლასის სასადილო.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ინსინუაცია; 2. სალათი; 3. თოფურია; 4. დიარა; 5. სუბიექტი; 6. ქურქი; 7. დიორამა; 9. იაკუძა; 13. ჰინდი; 17. ტუში; 18. ტბა.

თარაზულად: 1. იმპულსი; 3. თამადა; 8. თუნუქი; 10. პატრული; 11. შნეკი; 12. მაკლერი; 14. ტანძია; 15. არაბიკა; 16. ტატრა; 19. ვიდალი; 20. ლატავრა; 21. მწნილი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ადამაშვილი; 2. სალაჰი; 3. მორიელი; 4. რაბლე; 5. მადნეული; 6. გორდი; 7. კახიანი; 9. სატივე; 13. იჯარა; 17. სუვა; 18. ოყა.

თარაზულად: 1. ადიდასი; 3. მწყერი; 8. კამორა; 10. სალხინო; 11. იალტა; 13. ფერმერი; 14. ქვევრი; 15. ბრინჯაო; 16. ლისტი; 19. ცერული; 20. ვისკოზა; 21. ბითაძე.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

30 ივლისი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

- აშშ დოლარი — 3.0771
- ევრო — 3.6156
- დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.9922
- 100 რუსული რუბლი — 4.2455

ამინდის პროგნოზი 30 ივლისისთვის

ალექსანდრ არნოლდი: „წარსულმა შეცდომებმა გაგვაძლიერა“

ლივერპულის მარჯვენა მცველმა ტრენტ ალექსანდრ არნოლდმა განაცხადა, რომ ლივერპულის წარმატება იმ გამოცდილების დამსახურებაა, რომელიც გუნდმა წარსულში დააგროვა, მიუხედავად იმისა, რომ ეს გამოცდილება ყოველთვის კარგი არ იყო და მასში ბევრი სიმწარეც არის.

– წინა წლებში გამარჯვებასთან ახლოს ვიყავით, მაგრამ ხშირად ბოლო მომენტში ყველაფერი ფუჭდებოდა, რადგან ზოგჯერ ბედი არ გვწყალობდა, ზოგჯერ კი, უბრალოდ, გამოცდილება არ გვქონდა. ეს ყველაფერი დაგვეხმარა იმაში, რომ თავდაჯერებულობა მოგვეპოვებინა და ახლა უკვე ვერაფერი შეგვაჩერებს.

ბარსელონა რაკიტიჩს 20 მილიონად ყიდის

ბარსელონა ხორვატ ნახევარმცველ ივან რაკიტიჩთან ახალი კონტრაქტის გაფორმებას არ აპირებს და მზად არის, ის 20 მილიონად გაყიდოს. რაკიტიჩს ბევრი მსურველი არ ჰყავს და ყველაზე რეალური ვარიანტი ისევ სევილიაა, სადაც რაკიტიჩი ბარსელონაში გადასვლამდე თამაშობდა. თუმცა უცნობია, მოისურვებს თუ არა სევილია ამ ტრანსფერში 20 მილიონის გადახდას.

სევილიის გარდა, რაკიტიჩს რამდენიმე იტალიური კლუბი ეპატიჟება, თუმცა ფეხბურთელს ესპანეთში დარჩენა სურს.

კოუტინიოს პრემიერლიგაში თამაში სურს

ბაიერნის ბრაზილიელი ნახევარმცველი ფელიპე კოუტინიო რამდენიმე კვირაში ბაიერნს დატოვებს, თუმცა, სად გააგრძელებს კარიერას, ჯერჯერობით უცნობია.

კოუტინიოს ინგლისში სურს თამაში, სადაც მისით რამდენიმე გუნდია დაინტერესებული. ერთ-ერთი ვარიანტი ნიუკასლია, რომელიც არაბი შეიხების ხელში გადავიდა და ფინანსურადაც გაძლიერდა.

ნიუკასლის გარდა, კოუტინიოს შეძენა არსენალსაც სურს.

ტიმო ვერნერი: „მინდა, ჩელსიში ახალი ერა შევქმნა“

ჩელსის გერმანელმა ახალწვეულმა ტიმო ვერნერმა განაცხადა, რომ სურს, კლუბში ახალი ერა შექმნას და გუნდთან ერთად ბევრი ტიტული მოიგოს, თუმცა იცის, რომ დაბრკოლებები ექნება.

– ჩელსიში იმიტომ გადმოვედი, რომ ტიტულები მოვიგო და მცირედით არ დავკმაყოფილდები. მინდა, გუნდმა ახალი ერა შექმნას და ამის ნაწილი ვიყო. ჩელსის დიდი ტრადიციები აქვს და, ბედნიერი ვარ, რომ კარიერას ამ კლუბში გავაგრძელებ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ასტროპროგნოზი

30 ივლისისთვის

ვერძი – შანსი გეძლევათ, მატერიალური მდგომარეობა გაიუმჯობესოთ. იზრდება თქვენი ენერგეტიკული პოტენციალი. **კურო** – ახალი კონტაქტები იღებლიანად წარიმართება. შესაძლოა, შემოსავალი გაგეზარდოთ. **ტყუპები** – შემოქმედებითი და სექსუალური პოტენციალი მაღალია. საღამოს ნათესავებთან ურთიერთობა დაგეძაბებათ. **კირჩხიბი** – პროვოკაციული დღეა. ერიდეთ სხვის საქმეში ჩარევას, თორემ გაუგებრობაში გაეხვევით. **ლომი** – კოლეგებთან პატარა კონფლიქტია მოსალოდნელი. მოვლენებზე მტკივნეულ რეაგირებას ნუ მოახდენთ. **ქალწული** – საკუთარი ძალების რწმენა და საქმიანი აქტივობა სასიკეთო შედეგს გამოიღებს. მატერიალური მდგომარეობაც გიუმჯობესდებათ. **სასწორი** – დაბნეულობის გამო საქმიანი რიტმიდან ამოვარდნილი ხართ. შეუფერებელი დღეა საყიდლებზე წასასვლელად, მოლაპარაკებებისათვის. **ღრიანკალი** – ილუზიებს არ აჰყვეთ. ეცადეთ, არავინ მოგატყუოთ. არაკეთილისმყოფელი დღეა ქალაქგარეთ გასასვლელად, მივლინებებისათვის. **მშვილდოსანი** – მშვიდად იმუშავეთ. მყისიერ შედეგს ნუ ელით. მთავარია, თქვენი საქმე დიდი პასუხისმგებლობითა და პროფესიონალურად აკეთოთ. **თხის რქა** – მსხვილი შენაძენისათვის საყიდლებზე ნუ წახვალთ. ფული წყალში იქნება გადაყრილი. ჯანმრთელობის მდგომარეობა გიუარესდებათ. **მერწყული** – კონფლიქტური დღეა. მოშურნეებსა და არაკეთილგანწყობილ ადამიანებს ერიდეთ. ნუ იქნებით თავქარიანი. **თევზები** – პასიურად ხართ. ინიციატივისა და პრინციპულობის გამოვლენა დღეს აუცილებელია.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

•••

კაცი ქალს ეკითხება:

– არაყს დალევ?

– მე ხომ ქალი ვარ! მასეთ რამეს არ ვსვამ! მხოლოდ წვენით გაზავებულს...

– წვენი არ მაქვს, მხოლოდ პური მაქვს.

– პურით დავლევ!

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ჩემ მეგობარ ქალს ჩაი უყვარს, მე კი ყავა...

– მერე?

– ამიტომ, ერთად ყოფნის დროს, უთანხმოების თავიდან ასაცილებლად, არაყს ვსვამთ

•••

გამომძიებელი ქალს ეკითხება:

– შეგიძლიათ გვითხრათ, როგორ მოახერხეთ ამ სექსუალური მანიაკის დაკავება?

– რა გითხრათ? დილისთვის ის უკვე საკმაოდ არაქათგამოცლილი იყო...

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– როდესაც მე და ჩემი ცოლი ვჩხუბობთ, მე მას ყოველთვის ზევიდან დავყურებ!

– ეგ როგორ?

– როგორ და ოჯახში მე ვარ უფროსი, ხოლო კარადის თავიდან ამის დამტკიცება უფრო მოსახერხებელია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

თენგიზ აბულაძის „მონანიებას“ რესტავრაცია ჩაუტარდა

რეჟისორ თენგიზ აბულაძის ფილმ „მონანიებას“ ეროვნულმა კინოცენტრმა რესტავრაცია ჩაუტარა.

თავისუფლების მანიფესტად შერაცხული ფილმის სარესტავრაციო სამუშაოები 4 თვეს გაგრძელდა. ამჟამად ეროვნულ კინოცენტრს აქვს ფილმის მაღალპროფესიულ დონეზე რესტავრირებული ვერსია.

ფილმი წელს კანის კინოფესტივალზე უნდა ეჩვენებინათ, თუმცა, პანდემიის გამო, ფესტივალი ვერ შედგა. ეროვნულმა კინოცენტრმა სპეციალური ვიდეორგოლი დაამზადა, სადაც ფილმში მონაწილე მსახიობები და მასზე მომუშავე შემოქმედებითი ჯგუფის წევრები გადაღებებსა და საინტერესო ეპიზოდებს იხსენებენ.

დინა მირცხულავა: „ყველაფერში მჭირდები, ჩემო სამშობლოვ და ნუთუ შენ არაფერში დაგჭირდი?!“



ნოველისტი დინა მირცხულავა საცხოვრებლად საფრანგეთში წავიდა, თუმცა, რაც დრო გადის, მით უფრო მეტად ენატრება სამშობლო:

– ყოველი გაღვიძების ერთი წუთი ტკივილია – სად ვარ?! და რომ გავაცნობიერებ, სად ვარ – აქ რა მინდა?! – და ისევ ტკივილი.

ყველაფერში მჭირდები, ჩემო სამშობლოვ და ნუთუ შენ არაფერში დაგჭირდი?!

ირაკლი კახიძე ოპერის საუკეთესო მომღერლების ნუსხაში მოხვდა

ოპერის მომღერალი ირაკლი კახიძე, რომელიც წლებია, უცხოეთში მოღვაწეობს, საუკეთესო მომღერლების ჩამონათვალში მოხვდა.

ერთ-ერთმა უცხოურმა გამოცემამ საფრანგეთის საუკეთესო ფესტივალებს ვრცელი სტატია მიუძღვნა. მსოფლიოს წამყვან ოპერის მომღერლებთან ერთად მოხვდა ირაკლი კახიძე და მისი შესრულებული „აიდაც“:

– საუკეთესო ფესტივალები საფრანგეთში! მსოფლიოს წამყვან ოპერის მომღერლებთან ერთად ჩამონათვალში ჩემი ,,აიდაც“ მოხვდა, თან იმავე გვერდზე! ძალიან ბედნიერი ვარ!

ცირა ელისაშვილი: „ნუ ძარცვავთ თბილისს!“

ტფილისის ჰამქრის წევრი ცირა ელისაშვილი მოუწოდებს თითოეულ მოქალაქეს, შეწყვიტონ თბილისის ძარცვა:

– თბილისში, კრილოვის, ახლანდელი კახიძის 15 ნომერში მდგარი შენობა კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე ძეგლია. შენობას ორი სადარბაზო აქვს. გველიანი დეტალი – ფოტო №1 – იმ მარჯვენა სადარბაზოს კარზეა, სადაც საიას ოფისია. რამდენიმე წლის წინ მოხსნილი და მოსაპარად გამზადებული სულხან სალაძემ გადაარჩინა და უკან დააბრუნა.

სახლის მარცხენა სადარბაზოში უკვე წლებია, ნახევრად გაძარცვული ცხაური იყო – ფოტო №2, რომლის მაგივრად სულ რამდენიმე დღის წინ, რიგით „შემოვლაზე“ ფოტო №3 დამხვდა! ვესაუბრე სახლის ამხანაგობის თავმჯდომარეს. ვინ? როდის? როგორ? მოკლედ, ამ საუბრიდან გაირკვა, რომ მცხოვრებლები კმაყოფილი არიან, ვინაიდან სადარბაზო დაიკეტა, მინები ჩაისვა და სუფთად არიან.

საქმე ის არის, რომ იმ მოპარულ ფოტო №2 ცხაურს მივაგენი. ვიცი, სადაც არის და ვისთანაც. ამ ადამიანს ავუხსენი ვითარება და დამთანხმდა, რომ დეტალს დააბრუნებს ადგილზე, მაგრამ მასთან მხოლოდ ერთი ცალი ცხაური აღმოჩნდა, მეორეს ისევ ვეძებ.

დავურეკე ისევ ქალბატონ ნათელას, ამხანაგობის თავმჯდომარეს და ვუთხარი, რომ დეტალი უნდა დავაბრუნო. ნაკლული დეტალი, თანაც ერთი ცალი, ვის რაში სჭირდებაო, მაშინ რესტავრაცია გაუკეთე და ისე მოიტანეო. აი, იქ გავჭედე!

მოკლედ: ხმამაღლა ვაცხადებ, ცხაურს არ დავაბრუნებ, სანამ არ მექნება გარანტია, რომ ისევ არ მოიპარავენ!

ამისთვის საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან და სულხან სალაძესთან ერთად უნდა მოვიფიქროთ რამე სამართლებრივი ბერკეტი, რომ ძეგლში მცხოვრები ადამიანები იმ სახლზე იყვნენ პასუხისმგებლები, რომელშიც ცხოვრობენ! კანონში კულტურული მემკვიდრეობის შესახებ არსებული ზოგადი ჩანაწერი არ არის საკმარისი!



თბილისის მერია, თბილისის მუნიციპალური ინსპექცია – როდემდე უნდა ვდიო ასე თითოეულ დეტალს!

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები უნდა იყვნენ პასუხისმგებელნი იმაზე, რაც მათ გარეშე ვერ მოხერხდება. ვერავინ დამარწმუნებს, რომ კრილოვის 15-ის მეზობლობამ არ იცოდა, რა ხდებოდა მათ სახლში!

დაბოლოს, ადამიანებო, ამ ქალაქში მცხოვრებლებო, ნუ ძარცვავთ თქვენსავე ქალაქს! ნუ იპარავთ, თუნდაც ლამაზ დეტალებს. კარის სახელურებს, სადარბაზოს კარებს, კიბეებს, ორნამენტებს, სადაზღვევო დაფებს. ძალიან თუ მოგწონთ, ადექით, ფოტო გადაუღეთ და ამით დაკმაყოფილდით!

თან ამ ყველაფერს ისეთი ფასი დაედო შავ ბაზარზე, რომ მე იმის თანხები აღარ მაქვს, თქვენი ნაძარცვი ამოვიცნო, ვიყიდო, უკან დავაბრუნო, რაც არაერთხელ გამიკეთებია, იმის მოლოდინში, რომ ერთ-ერთ „შემოვლაზე“ ისევ მოპარული დამხვდეს!

ნუ ძარცვავთ თბილისს, იმ ტფილისს, რომელიც დეტალებშია!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოხსვოხდი ↄ



შვეულად: 1 ცხენების შემსწავლელი მეცნიერება; 2. გიორგი კობახიძის მოკლემეტრაჟიანი კინოკომედია; 3. ირლანდიური ლუდი; 4. კათოლიკური ჯვარი; 5. აზერბაიჯანის პრეზიდენტი; 11. ხევისბერი ფშავხევსურეთში; 12. მაღალზურგიანი დივანი; 14. ღვინის ჩამომსხმელი, მერიქიფე; 16. ძვირფასი სარეწაო თევზი; 17. გადასახადებისგან განთავისუფლებული ყმა ძველად საქართველოში; 19. რომელიმე ენის სიტყვების მარაგი; 21. წვრილი წვიმა; 22. უნგრული ღვინო.

თარაზულად: 6. მაღაროელთა შორის გავრცელებული ფილტვების სპეციფიკური დაავადება; 7. ჩაის მწარმოებელი ქართული ფირმა; 8. პროფესიონალი ცხენოსანი; 9. კვანტური მექანიკის ფუძემდებელი; 10. გარკვეული ვადითა და პირობით გაცემული თანხა; 13. რაიმე ელემენტების თანაბარზომიერი, პერიოდული მონაცვლეობა; 15. გარკვეული ზომის ყუთი შეუფუთავი ტვირთის გადასაზიდად; 18. პატარა, სამკუთხა ალამი; 20. ჯიხვების ჯოგი; 21. თხელი, ფურცლოვანი რკინა; 23. ჯარების განლაგება ქვეყნის ტერიტორიაზე; 24. ქართული ხალხური შრომის სიმღერა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა